პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 239 (10015) | პარასკევი, 8 ოქტომბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ბელორუსიის სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პურის დამზადების გეგმა შეასრულეს (1-ლი გვერდი).

პოლონეთის სახელმწიფო თეატრის საბოლოო სპექტაკლი მოსკოვში (1-ლი გვერდი).

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება (1-ლი გვერდი).

გავაუმჯობესოთ პროპაგანდისტული მუშაობის იდეური შინაარსი (მე-2 გვერდი).

მ. თოფურიძე. — პროკურორი სახელმწიფო მოღვაწეა (მე-2 გვერდი).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის [illegible] თავი (მე-2 გვერდი).

ზამთარში შეუფერხებელი მუ[illegible] (მე-3 გვერდი).

მიკოლა ბაჟანი (მე-3 გვერდი).

ფელეტონი. — წაღვერული „ხუმრობა“ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხუთი წლისთავი

დღეს სრულდება ხუთი წელი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის დღიდან. სულ რამდენიმე დღის წინათ ფართოდ აღინიშნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხუთი წლისთავი. ის, რომ მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ იდღესასწაულა ეს ღირსშესანიშნავი თარიღები, ცხადყოფს, თუ რა ჭეშმარიტად ისტორიულ წარმატებებს შეუძლიათ მიაღწიონ მოკლე ვადაში ხალხებმა, რომლებიც დემოკრატიული განვითარების გზას დაადგნენ და საკუთარ ხელში აიღეს თავიანთი ბედი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ამხანაგ ვილჰელმ პიოსადმი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში ნათქვამია:

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა კავშირის ხალხთა სახელით ძმურ სალამს და გულითად მოლოცვას გითვლიან თქვენ და მთელ გერმანელ ხალხს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის ხუთი წლისთავთან დაკავშირებით.

გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ომისშემდგომი დროის მძიმე პირობებში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია სახელმწიფოებრივი მშენებლობის ყველა დარგში, მშვიდობიანი ეკონომიკის განვითარებაში, კულტურისა და მეცნიერების აღმავლობაში, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლებაში.

ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელდა დიდი სოციალური გარდაქმნები. მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან ურღვევი კავშირით ერთიან ეროვნულ ფრონტად გააერთიანა გერმანელი ხალხის მთელი დემოკრატიული და პატრიოტული ძალები და სათავეში ჩაუდგა მის ბრძოლას გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების საფრთხის წინააღმდეგ, თავისი სამშობლოს გაერთიანებისათვის, გერმანიის განვითარების დემოკრატიული და მშვიდობიანი გზისათვის“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა მობრუნების პუნქტი იყო ევროპის ისტორიაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შედეგად მტკიცე საფუძველი ჩაეყარა გერმანელი ერის აღორძინებას, საფუძველი ჩაეყარა ერთიანი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის ბრძოლას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის დროიდან გერმანელი ხალხი მტკიცედ დაადგა გერმანიის ნამდვილად დემოკრატიული და ნამდვილად მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს შექმნის გზას. ეს შესაძლებელი გახდა, რადგან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხელისუფლება მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხებს ეკუთვნით, რადგან ეს ხელისუფლება ემყარება გერმანელი ხალხის მთელი დემოკრატიული და პატრიოტული ძალების მხარდაჭერას, რადგან აქ ბატონ-პატრონი თვითონ ხალხია.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ახლა საერთაშორისო ასპარეზზე გამოდის როგორც მთელი გერმანელი ხალხის დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე ძალების ბურჯი, როგორც ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის მისი ბრძოლის ბურჯი. მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის პოლიტიკის მეოხებით გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მოიპოვა საერთაშორისო ავტორიტეტი და ნდობა, ღირსეული ადგილი დაიკავა მშვიდობისმოყვარე ხალხთა შორის. გერმანელი ხალხის მთელ პატრიოტულ და დემოკრატიულ ძალებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მიაჩნიათ საიმედო ბურჯად ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნისათვის ბრძოლაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხუთი წელი იყო ეკონომიკის, კულტურის სწრაფი განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების წლები. ხუთწლედის სამი წლის მანძილზე სამრეწველო პროდუქციის გამოშვება რესპუბლიკაში 60 პროცენტით და მეტით გაიზარდა, ხოლო მიმდინარე წლის ნახევარში ომამდელ 1936 წელთან შედარებით თითქმის ერთიორად გადიდდა. გაჩნდა მრეწველობის ახალი დიდმნიშვნელოვანი დარგები. კერძოდ, შეიქმნა მეტალურგიული ბაზა, მნიშვნელოვნად გადიდდა საწარმოო სიმძლავრეები მძიმე მანქანათმშენებლობასა და გემთმშენებლობაში, მოწესრიგდა მრავალი თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანის წარმოება. მნიშვნელოვანი მიღწევებია სოფლის მეურნეობაშიც.

სახალხო მეურნეობის წარმატებით განვითარებამ შესაძლებლობა მისცა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილების მიზნით გაეძლიერებინა მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარება, გაედიდებინა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად განუხრელად მაღლდება მშრომელთა ცხოვრების დონე.

პოლიტიკური და ეკონომიური გარდაქმნები, რომლებიც მოხდა და ხდება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უდიდეს გავლენას ახდენენ დასავლეთ გერმანიაზე. სულ უფრო იზრდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის როლი გერმანელი ხალხის ბრძოლაში ერთიანი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისა და მისი ძალების განუხრელი ზრდის თვით ფაქტი მოწმობს, რომ გერმანელ ხალხს ახალ გზაზე ყველა შესაძლებლობა აქვს აღორძინდეს როგორც დიდი ერი, რომელიც თავის ღირსეულ ადგილს დაიკავებს მსოფლიოს ხალხთა შორის.

ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ აგრეთვე იმ ფაქტის მნიშვნელობა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას საერთაშორისო ასპარეზზე აქვს ისეთი დახაურდენი, როგორიც არიან საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მთელი ბანაკი.

საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დამყარდა ძმური მეგობრობის ურთიერთობა. თავიდანვე ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა ემყარება ურთიერთ ნდობას და ურთიერთ დახმარებას. ვალდებულებებს, რომლებიც ომისშემდგომი პერიოდის პირობებში ჰქონდათ ჩვენს სახელმწიფოებს ერთმანეთის მიმართ, მთელი ამ ხნის განმავლობაში ორივე მხარე ასრულებდა თავისი მოვალეობის სრული შეგნებით და იმის განუწყვეტელი მისწრაფებით, რომ განმტკიცებულიყო ჩვენი ხალხების მეგობრობა. საბჭოთა კავშირმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან 1954 წლის გაზაფხულზე დაამყარა ისეთივე ურთიერთობა, როგორც სხვა სუვერენულ სახელმწიფოებთან. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ახლა თავისუფლად შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ გადაჭრას თავისი საშინაო და საგარეო საქმეები, მათ შორის დასავლეთ გერმანიასთან ურთიერთობის საკითხები.

განუხრელად იზრდება სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური თანამშრომლობა და კულტურული ურთიერთობა.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ იბრძვის გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის. დიდია მნიშვნელობა საბჭოთა წინადადებებისა, რომლებიც ბერლინის თათბირზე იყო შეტანილი. საბჭოთა მთავრობა კვლავ აძლევს წინადადებას შეერთებული შტატების. ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს მიაღწიონ შეთანხმებას აღმოსავლეთი და დასავლეთი გერმანიის ტერიტორიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის შესახებ და გადაჭრან ეს საკითხი ახლავე, დაუყოვნებლივ. ამ წინადადების მიღება შეამსუბუქებდა მოსახლეობის მდგომარეობას როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ გერმანიაში. ეს შექმნიდა აგრეთვე აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიას შორის დაახლოების უფრო ხელსაყრელ პირობებს და ამით გერმანიის გაერთიანების პირობებს. ამ წინადადების მიღება ამასთან ერთად დაადასტურებდა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისათვის ხელშეწყობისადმი მისწრაფებას.

საბჭოთა კავშირი მოითხოვდა და მოითხოვს გერმანიის საკითხის ძირეულ გადაჭრას. ასეთი გადაჭრა შეიძლება იყოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება. ახლანდელ პირობებში გერმანიის პრობლემის გადაჭრისათვის მთავარი და გადაუდებელი გერმანიის ერთიანობის აღდგენის საკითხის გადაჭრა. ამ საკითხის გადაჭრის შემდეგ მოისპობა ყველა დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის საზავო ხელშეკრულების დადებას.

ბერლინის თათბირზე მიმდინარე წლის დასაწყისში მიღწეული არ ყოფილა შეთანხმება სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების საკითხზე. ახლა, „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის გეგმების ჩაფუშვასთან დაკავშირებით, დაისახა ამ საკითხში ოთხი სახელმწიფოს პოზიციების დაახლოების ახალი შესაძლებლობა. საბჭოთა მთავრობა თავის მხრივ აცხადებს, რომ მზად არის განიხილოს როგორც ბერლინის თათბირის მონაწილეთა წინათ გაკეთებული წინადადებანი, ისე შეუძლია ახალი წინადადებანი სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების საკითხზე. რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის უარყოფითი პოზიცია დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის გეგმებისადმი ეხება როგორც „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებას“. ისე აგრეთვე სხვა ამგვარ პროექტებს, რითაც არ უნდა იფარებოდნენ ისინი. როგორც ევროპის მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის, ისე აგრეთვე თვით გერმანელი ხალხის ინტერესებისათვის საჭიროა უარყოფილ იქნას დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის გეგმები და მთელი ღონისძიებები მოხმარდეს უახლოესი დროის ძირითადი და გადაუდებელი ამოცანის გადაჭრას — გერმანიის როგორც დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენას.

გერმანიის საკითხის გადაჭრისას არ შეიძლება აგრეთვე გათვალისწინებულ არ იქნას საბჭოთა წინადადებანი, რომლებიც შეტანილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიმდინარე სესიაზე, რადგან ეს წინადადებანი სახავენ შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხზე საჭირო შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას.

საბჭოთა ხალხს გულითადად ახარებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებანი, საბჭოთა კავშირის ხალხები დიდი კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავენ თვალსაჩინო წარმატებებს, რასაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა მიაღწიეს, და სულით და გულით უსურვებენ მუშათა კლასს, გლეხობას, ინტელიგენციას და მთელ გერმანელ ხალხს შემდგომ წარმატებებს თავისი სამშობლოს გაერთიანებისათვის, მშვიდობის საქმისათვის და მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას!

იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს გერმანელი და საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობა!

„პრავდის“ 7-X მოწყინავე.

---

11 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე მოწვეულია **თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეოთხე მოწვევის საქალაქო საბჭოს XI სესია.**

სესია შედგება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 8).

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

ბელორუსიის სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პურის დამზადების გეგმა შეასრულეს

ბელორუსიის სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა მარცვალი 4.078 ათასი ფუთით მეტი, მათ შორის წიწიბურა 1.800 ათასი ფუთით მეტი, ვიდრე შარშან ამ თარიღისათვის იყო ჩაბარებული. რესპუბლიკის კოლმეურნეობები განაგრძობენ მარცვლის ჩაბარებას მტს-ების მიერ გაწეულ სამუშაოთა ასანაზღაურებლად, პურს ჰყიდიან სახელმწიფო შესყიდვის წესით და მარცვალს აძლევენ კოლმეურნეებს შრომადღეებზე.

რესპუბლიკაში მოყვანილია სელის უხვი მოსავალი. სახელმწიფოსათვის სელის თესლის ჩაბარების გეგმა, რაც 1954 წლისათვის იყო დაწესებული, 1954 წლის 1 ოქტომბრისათვის შესრულებულია 150 პროცენტით. ჩაბარებულია 280 ათასი ფუთით მეტი სელის თესლი, ვიდრე შარშან. სელის თესლის ჩაბარება გრძელდება. კოლმეურნეობებმა გაიჩაღეს შეჯიბრება სახელმწიფოსათვის დამბალი სელისა და სელის ბოჭკოს ჩაბარების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა, თესლს ინახავენ 1955 წლის საგაზაფხულო თესვისათვის, ეწევიან მზრალად ხვნას და მუშაობას პირუტყვის გამოზამთრებისათვის მოსამზადებლად.

დიდ ფართობებზე სასილოსედ პირველად დათესილმა სიმინდმა კოლმეურნეობებს უხვი მოსავალი მისცა, რამაც შესაძლებელი გახადა სილოსის ჩადების სახელმწიფო გეგმა შეესრულებინათ 107 პროცენტით და ჩაედოთ 1,3 მილიონი ტონა სასილოსე მაჯა, ანუ 360 ათასი ტონით მეტი, ვიდრე შარშან. საკვების დასილოსება გრძელდება.

ბელორუსიაში წელს აგრეთვე მიღებულია კარტოფილის უხვი მოსავალი. ამჟამად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები ერთმანეთს ეჯიბრებიან იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე დაამთავრონ კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავლის აღება და ვადამდე შეასრულონ ამ კულტურების დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმები.

ПОЛОНЕТИИС САХЕЛМწიფО ТЕАТРИС САГОЛОО СПЕКТАКЛИ МОСКОВШИ

6 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა პოლონეთის სახელმწიფო თეატრის საბოლოო სპექტაკლი. დარბაზი გაჭედილი იყო მაყურებლებით, რომლებიც გულთბილად შეხვდნენ მსახიობებს. დაიდგა ნიჭიერი თანამედროვე პოლონელი დრამატურგის ე. იურანდოტის პიესა „ასეთი დროა“ (დამდგმელი მ. ვიეიკოვსკი).

სისადავისა და მაღალი აქტიორული ოსტატობის შეხამება, რაც პოლონური თეატრალური ხელოვნების უძვირფასესი თვისებაა, განსაკუთრებით განასხვავებს ამ სატირული კომედიის დადგმას. პიესის ცენტრშია პოლონეთის პატარა ქალაქის ქარხნის დირექტორი, რომელიც ცოლთან ერთად ოცნებობს დედაქალაქში ცხოვრებაზე. საზოგადოების ყურადღება მიიპყრო მსახიობ ტ. კონდრატის მიერ დირექტორის როლის შესრულებამ. [illegible] გროტესკით თამაშობდა ბ. ლიუდვიჟანკა (დირექტორის ცოლი). უშუალობით, ნაზი იუმორით გამოირჩეოდა ჩ. ვოდეიკოს მიერ მწერალ სკუპენის როლის შესრულება. მსახიობებმა კ. მორავსკიმ, კ. კარკოვსკაიამ, მ. ლონჩმა, ფ. ხმურკოვსკიმ შექმნეს ცხოვრების სინამდვილის ამსახველი სახეები, გაჟღენთილი ხალხური იუმორით. სპექტაკლი მკაფიო კომედიური ფორმით ამხილებს წარსულის ნაშთს — მეშჩანობას, რაც კიდევ არის შემორჩენილი.

სპექტაკლს მაღალი შეფასება მისცეს მაყურებლებმა. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ო. ტოპორკოვი მოსკოვის თეატრალური საზოგადოებრიობის სახელით მიესალმა პოლონეთის თეატრის მსახიობებს და მიულოცა მათ თვალსაჩინო წარმატება. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ბრონისლავ დომბროვსკიმ.

პოლონეთის სახელმწიფო თეატრის საბოლოო სპექტაკლს დაესწრნენ კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ნ. შატალინი, ა. ნ. კოსიგინი, ი. თ. თევოსიანი, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

სპექტაკლს დაესწრო აგრეთვე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ვ. ლევიკოვსკი. (საკდესი).

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

პეკინი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, გუშინ საბჭოთა კავშირის, რუმინეთისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების წევრებმა მოისმინეს სამი მოკლე ჩინური ოპერა.

საპატიო მაყურებელთა შორის იყვნენ ნ. ს. ხრუშჩოვი — საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაური, ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიკოიანი, ნ. მ. შვერნიკი და საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრები, დოქტორი პეტრუ გროზა და რუმინეთის მთავრობის დელეგაციის სხვა წევრები, ხოანგ მინ ზიამი—ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელი და დელეგაციის სხვა წევრები.

ერთ-ერთი მთავარი შემსრულებელი იყო ცნობილი მსახიობი მეი ლან-ფანი.

სპექტაკლს დაესწრნენ აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილეები ჩენ იუნი და ულანფუ და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე უ სიუციუანი.

ა. სუბოტინი რუსთავის მეტალურგებთან

რუსთავი. („კომუნისტის“ კორ.). ამას წინათ რუსთავში ჩამოვიდა და ადგილობრივ მეტალურგებს შეხვდა გამოჩენილი საბჭოთა ნოვატორი, სტალინური პრემიის ლაურეატი, მოსკოვის ქარხნის „სერპ ი მოლოტის“ ჩქაროსანი მეფოლადე ამხ. ა. სუბოტინი, რომელსაც რუსთავის მეფოლადეებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

ამხ. სუბოტინმა მეფოლადეებს გაუზიარა თავისი გამოცდილება დნობის ხანგრძლივობის შემცირებისათვის ბრძოლაში და მოუთხრო, თუ როგორ აღწევს ნადნობის ჩქაროსნულად მიღებას. გამოჩენილი ნოვატორის რჩევა დიდად დაეხმარა ახალგაზრდა მეფოლადეებს მუშაობის გაუმჯობესებაში. მაგალითად, 1 ოქტომბერს მარტენის საამქროს ერთ-ერთ ღუმელზე მეფოლადეებმა ვ. ჭაბაშვილმა, შ. ბაიდურაშვილმა და გ. ლევინმა ყველა დნობა ჩქაროსნული მეთოდით განახორციელეს და გეგმის გადამეტებით ათობით ტონა ფოლადი მოგვცეს.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება



თბილისი. 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ამწყობ საამქროში. **სურათზე:** ამწყობი-ზეინკალი ვ. ჯარიაშვილი აბრეშუმსაქსოვი მანქანის აწყობისას. ამხ. ჯარიაშვილი ყოველთვიურად ორნახევარ ნორმას ასრულებს.

ფოტო რ. მორჩილაძისა.

აგარის შაქრის ქარხანაში

აგარა. (საკ. კორ.). აგარის შაქრის ქარხანამ 26 სექტემბერს დაიწყო ახალი მოსავლის შაქრის ჭარხლის გადამუშავება. 30 სექტემბრისათვის გამოშვებულია 7.320 ფუთი მაღალი ხარისხის ფხვნილი შაქარი.

წელს კოლმეურნეობებმა ჭარხლის დიდი მოსავალი მიიღეს. შარშანდელთან შედარებით ჭარხლის შაქრიანობა გაცილებით მაღალია. ქარხნის მიმღებ პუნქტში უკვე მიზიდულია 60 ათას ცენტნერზე მეტი შაქრის ჭარხალი.

★

ხაშურული აგური და კრამიტი

ხაშური. (საკ. კორ.). საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაშურის აგურის ქარხნის კოლექტივმა, რომელიც გურჯაანის აგურ-კრამიტის ქარხნის კოლექტივს ეჯიბრება, იანვარ 7 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით 100 ათასი ცალი აგური გამოუშვა.

პირველი ოქტომბრისათვის მეაგურეებმა გადაჭარბებით გაანაღდეს სექტემბრის გეგმა და ნაცვლად 4.400 ათასი ცალისა გამოუშვეს 4.406 ათასი ცალი წითელი აგური. ამასთან მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს მისი ხარისხი. 10 სექტემბრიდან ქარხანაში შეუდგნენ ე. წ. მარსელის კრამიტის დამზადებას. დღეისათვის უკვე გამოშვებულია 25 ათასი ცალი ასეთი კრამიტი.

ღლესასწაულის შესახვედრად

განუწყვეტლივ მოძრაობს კონვეიერი და შეუჩერებლივ მუშაობენ მასში ჩართულ მანქანებთან მუშები, ერთმეორის მიყოლებით ასრულებენ ფეხსაცმლის კერვის ოპერაციებს. 640-650 წყვილ ქალის სამოდელო ფეხსაცმელს იძლევა ყოველდღიურად თბილისის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის მეოთხე საამქროს ეს კონვეიერი, ანუ მერვე ნაკადი, როგორც აქ მას უწოდებენ. იგი დღეში 250 წყვილით მეტ ფეხსაცმელს უშვებს, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ასეთივე წარმატებით მუშაობს ამავე საამქროს მეშვიდე ნაკადი. იგი დღეში გეგმის გადამეტებით 100 წყვილზე მეტ ფეხსაცმელს ამზადებს. სექტემბერში საამქროს კოლექტივმა 2.164 წყვილით მეტი ფეხსაცმელი გამოუშვა.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვა გასულ თვეში ფაბრიკის კოლექტივმა. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულა 103 პროცენტით, ხოლო ნატურალური პროდუქციის გამოშვებისა — 110,7 პროცენტით.



თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მოწინავე მქსოველი თამარ ხორხელი, რომელიც საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება და დღიური დავალებების 138 პროცენტით შესრულება იკისრა, ვალდებულებას გადაჭარბებით ანაღდებს. **სურათზე:** მქსოველი თ. ხორხელი ქსელის შემოწმების დროს.

პროდუქცია—გეგმის გადამეტებით

ჟუთაისი. (საკ. კორ.). საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დღეებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მუშაობა ციროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკამ, სადაც განსაკუთრებით ისახელეს თავი საფაბრიკო-საქარხნო სკოლდამთავრებულებმა.

ფაბრიკის კოლექტივმა ვადაზე 2 დღით ადრე შეასრულა სექტემბრის დავალება და გეგმის გადამეტებით 400 ათასი მანეთის პროდუქცია დაამზადა.

საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაემგზავრა

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეხუთე წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად 6 ოქტომბერს მოსკოვიდან ბერლინს გაემგზავრა საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან აკადემიკოსი ა. ვ. ტოპჩიევი (დელეგაციის ხელმძღვანელი), მწერალი კ. ა. ფედინი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტები ე. ნ. მიშუსტინი, ა. ი. პაშკოვი, ბ. ე. ორლოვსკი და სხვა მეცნიერები. (საკდესი).

ინდოეთის ლიტერატურის საღამო

5 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა ინდოეთის ლიტერატურის საღამო, რომელიც მოაწყო სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობამ და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა.

მოხსენება „თანამედროვე ინდოეთის ლიტერატურა“ გააკეთა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ა. მ. დიაკოვმა.

შეკრებილებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ინდოეთის კინორეჟისორის ა. კ. ჩბასის სიტყვა.

საღამო დამთავრდა დიდი კონცერტით. (საკდესი).

ახალი ფილმი „შიპკის გმირები“

ლენინგრადი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ლენინგრადის კინოს სახლში მოეწყო ახალი მხატვრული ფილმის „შიპკის გმირების“ საზოგადოებრივი გასინჯვა. ფილმი გამოუშვეს ლენინგრადის კინოსტუდია „ლენფილმმა“ და ბულგარეთის მხატვრული ფილმების კინოსტუდიამ „ბოლგარფილმმა“. ეს პირველი ერთობლივი დადგმაა, რომელიც განახორციელეს საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის კინოხელოვნების მოღვაწეებმა.

სურათი ასახავს რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის ამბებს, რომელმაც გაათავისუფლა ბულგარელი ხალხი თურქეთის მონობისაგან. სურათის მეტი ნაწილის გადაღება წარმოებდა ბულგარეთში, მომხდარი ამბების ადგილებზე.

მეგობრულ, ერთობლივ მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის რეჟისორებმა, ოპერატორებმა, მსახიობებმა და მხატვრებმა. ფილმის დადგმა განახორციელა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. ვასილიევმა ა. პერეფენცევის სცენარის მიხედვით.

ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის მეთხუთმეტე მიწისსათხრელი გიგანტი

სვერდლოვსკი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). ურალის მანქანათმშენებელ ქარხანაში დაიწყო აწყობა მორიგი, მეთხუთმეტე მოსიარულე ექსკავატორისა, რომელიც ქვანახშირის ჭრილებში იმუშავებს. ახალი აგრეგატის ციცხვის ტევადობაა 14 კუბური მეტრი, ხოლო ისრის სიგრძე — 75 მეტრი.

ამწყობთა შორის გაჩაღდა შეჯიბრება მიწისსათხრელი გიგანტის ვადამდე გამოშვებისათვის.

შტაპელის კრეპ-სარჟი

ივანოვო, 6 ოქტომბერი. (საკდესი). ივანოვოს ფროლოვის სახელობის მელანქოს კომბინატი შეუდგა საკმე კრეპ-სარჟის გამოშვებას ცისფრად, ნარინჯისფრად, მწვანედ და ლურჯად შეღებილი შტაპელის ბოჭკოსაგან.

გუშინ გამოუშვეს ამ პროდუქციის პირველი პარტია. გამოყენების დროს შტაპელის ქსოვილების შეკლების შესამცირებლად საწარმოებში დამონტაჟებულია სპეციალური აგრეგატი.

მოსკოველ ჩარხმშენებელთა ახალი პროდუქცია

მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ კოლექტივმა, რომელმაც გადაჭარბებით შეასრულა ცხრა თვის გეგმა, გეგმის გადამეტებით დაამზადა ბევრი ლითონდამამუშავებელი ჩარხი.

ქარხანაში დამზადებულია მძლავრი სახარატო-პირის გადასაღები ჩარხი კვადრატული ზოდების დასამუშავებლად. გამოშვებულია აგრეთვე მოდერნიზებული უნივერსალური სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხების პირველი პარტია. ეს ჩარხები განკუთვნილია დეტალების ჩქაროსნული დამზადებისათვის. (საკდესი).

ვავაუმჯობესოთ პროპაგანდისტული მუშაობის იდეური შინაარსი

შარშანდელთან შედარებით წელს კასპის რაიონში მნიშვნელოვნად შემცირდა წრეები და პოლიტსკოლები. ამასთან რამდენადმე გაიზარდა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა რაოდენობა. რაიონში პარტიული განათლების სისტემაში იმუშავებს 58 წრე და პოლიტსკოლა, ხოლო 579 კომუნისტი, კომკავშირელი და უპარტიო აქტივისტი დამოუკიდებლად შეისწავლის მარქსისტულ-ლენინურ თეორიას.

პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში პარტიის კასპის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას (გამგე ა. ბეჟანიშვილი) მხედველობიდან გამორჩა მთავარი — ეზრუნა წრეების სწორად დაკომპლექტებისათვის, მტკიცედ დაეცვა ნებაყოფლობითი პრინციპი და კვალიფიციური პროპაგანდისტებით განემტკიცებინა წრეები და პოლიტსკოლები. ბევრ შემთხვევაში პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტება ხდებოდა კომუნისტთა სურვილის გაუთვალისწინებლად. სოფელ ნოსტეს სააკაძის სახელობის კოლმეურნეობის პირველად პარტიულ ორგანიზაციაში (მდივანი ვ. სოზიაშვილი) კომუნისტები მარიამ გაბოძე და ციალა ლომოური, რომლებსაც საშუალო განათლება აქვთ, ისე ჩარიცხეს პოლიტსკოლაში, რომ მათთვის არც კი უკითხავთ. ასეთივე ფაქტებია სოფლების ლამისყანის, ზემო ხანდაკის და სხვა საკოლმეურნეო პირველად პარტიულ ორგანიზაციებში.

სოფელ ლამისყანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პირველად პარტიულ ორგანიზაციასთან მეოთხე წელია მუშაობს პოლიტსკოლა, რომელშიც ყოველწლიურად ერთი და იგივე კომუნისტები არიან გაერთიანებულნი. წელს აქაური კომუნისტებისათვის არავის უკითხავს, თუ პარტიული განათლების რომელ ფორმაში სურდათ მეცადინეობა. პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. გ. გიგაური აცხადებს: რაიკომის პროპაგანდის განყოფილებამ მოგვთხოვა კომუნისტების სია, შემდეგ კი პოლიტსკოლის მსმენელთა გადაბეჭდილი სია გამოგვიგზავნა. მათ ხომ არ ვასწავლიდი, ხელმძღვანელებმა უკეთესად იციან, რაც არის საჭირო. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ყოველწლიურად პოლიტსკოლაში მეცადინეობა მოსწყინდათ კომუნისტებსო.

პირველმა მეცადინეობამ ცხადყო, რომ პარტიის კასპის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება გულისხმიერად არ მოჰკიდებია პროპაგანდისტთა შერჩევის საქმეს. ამის გამო ზოგ წრესა და პოლიტსკოლას არასაკმაოდ მომზადებული ადამიანები ხელმძღვანელობენ.

სოფელ ზემო ხანდაკის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის პირველად პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში (სწავლების II წელი), მართალია, მეცადინეობა ორგანიზებულად დაიწყო, მაგრამ დაბალი იყო მეცადინეობის იდეური დონე. წრის პროპაგანდისტი ფ. ლაზუაშვილი მეცადინეობაზე მოუმზადებელი მოვიდა. პროპაგანდისტმა 20-25 წუთი მოანდომა ორგანიზაციულ საკითხებს, ხოლო ახალი მასალის გადაცემა 30 წუთში დაამთავრა. მისი საუბარი არ იყო ცოცხალი, საინტერესო და უფრო მოგვაგონებდა უსისტემოდ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ ფაქტებზე აგებულ თხრობას.

ცხადია, ასეთმა საუბარმა მსმენელებს არაფერი მისცა. ეს ნათელი გახდა იმ ათიოდე წუთში, რომელიც პროპაგანდისტმა გადაცემული მასალის განმტკიცებას მოანდომა. პროპაგანდისტის მოუფიქრებელ, დაუსაგებელ შეკითხვებზე მსმენელებმა ვერ გასცეს დამაკმაყოფილებელი პასუხი.

ამავე სოფლის ტერიტორიულ კომკავშირულ ორგანიზაციასთან 1 ოქტომბერს მეცადინეობას შეუდგა პარტიის ისტორიის შემსწავლელი ძირითადი ტიპის წრე (სწავლების I წელი, პროპაგანდისტი მ. გოგიაშვილი). წრეში ჩაბმული არიან საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები. ამიტომ შესაძლებელია ამ წრეში მეცადინეობის მაღალ იდეურ დონეზე მოწყობა. პირველ მეცადინეობაზე ეს არ იგრძნობოდა.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი იყო ამ მეცადინეობის იდეური დონე, მოგვყავს პროპაგანდისტის რამდენიმე კითხვა და მსმენელთა პასუხი.

პროპაგანდისტი: — როდის და რა საფუძველზე ჩამოყალიბდა კომუნისტური პარტია?

მსმენელი: — კომუნისტური პარტია ჩამოყალიბდა სამი რევოლუციის პერიოდში.

პროპაგანდისტი: — თავიდანვე რასთან იყო დაკავშირებული კომუნისტური პარტია?

მსმენელი: — ის დაკავშირებული იყო მუშათა მოძრაობასთან.

პროპაგანდისტი: ვის წინააღმდეგ ბრძოლაში იწრთობოდა კომუნისტური პარტია?

მსმენელი: — კომუნისტური პარტია იწრთობოდა უცხოეთის ინტერვენციისა და შინაგანი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

პროპაგანდისტი:—ვინ იყვნენ კომუნისტური პარტიის მტრები?

მსმენელი: — მემამულეები და ბურჟუები.

ასე სკოლარულად, მეტად დაბალ იდეურ დონეზე ჩატარდა მთელი მეცადინეობა. ამხ. მ. გოგიაშვილს წელს პირველად დაავალეს პროპაგანდისტობა, მაგრამ არავის უზრუნია მისთვის დახმარება გაეწია. საერთოდ პროპაგანდისტებისათვის დახმარების გასაწევად, მათი მეთოდური დახელოვნებისა და იდეური დონის ამაღლებისათვის რაიონში ცოტა რამ კეთდება.

პარტიის კასპის რაიკომმა ახლავე უნდა მიიღოს ქმედითი ზომები პარტიული განათლების სისტემაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მ. აროშიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

სამხრეთ ოსეთში

ტ. ს. მალცევის მეთოდით

სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობისა და მტს-ების მუშაკები დიდი ინტერესით ეცნობიან კურგანის ოლქის შადრინსკის რაიონის კოლმეურნეობა „ზავეტი ლენინას“ ნრვატორი მემინდვრის ტ. ს. მალცევის გამოცდილებას. სტალინირის რაიონის სოფელ ხეთაგუროვის კოლმეურნეობის წევრებს ნიადაგის დამუშავების ახალი სისტემის შესახებ ესაუბრა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ექსკურსანტი აგრონომი პ. მინდიაშვილი.

ამ დღეებში სტალინირში გაიმართა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა თათბირი, რომელშიც განიხილა ოლქის კოლმეურნეობებში ტ. ს. მალცევის მეთოდის დანერგვის საკითხი.

წელს ნიადაგის საცდელი დამუშავება მალცევის მეთოდით ოლქის კოლმეურნეობებში 500 ჰექტარზე მოეწყობა.

მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა

ოლქის მოსახლეობაში უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გაძლიერდა მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა. ლენინგორის რაიონის მშრომელებმა ამ დღეებში სარაიონო კულტურის სახლში დიდი ინტერესით მოისმინეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის ს. გაბარაევის ლექცია თემაზე: „მარქსიზმ-ლენინიზმი რელიგიის წარმოშობისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.

ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ჯუსოევმა ჯავის რაიონის მშრომელებს წაუკითხა ლექცია — „მეცნიერება და რელიგია“.

კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში, სასწავლებლებში მოხსენებებს თემაზე: „მეცნიერება და რელიგია ადამიანის წარმოშობის შესახებ“, „რელიგიურ დღესასწაულთა შესახებ“ და სხვ. კითხულობენ ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატები რ. კაბისოვი და ზ. ცხოვრებოვი.

კულტურის ახალი სახლი

ჯავის რაიონის ცენტრში ამ დღეებში საფუძველი ჩაეყარა კულტურის სახლის მშენებლობას. კულტურის სახლს ექნება კლუბი, ბიბლიოთეკა, ოთახები მხატვრული თვითმოქმედი წრეების მუშაობისათვის.

ი. ჩიტაშვილი.

კედლის გაზეთების რედაქტორთა სემინარი

ჟუთაისი. (საკ. კორ.). საქალაქო გაზეთების „სტალინელისა“ და „კუტაისსკაია პრავდის“ რედაქციებმა მოაწყეს ფაბრიკა-ქარხნებისა და ახალმშენებლობათა კედლის გაზეთების რედაქტორთა სემინარი.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების დადგენილებანი და ძირეული პრესის ამოცანები“, „ძირეული პრესის როლი კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის საქმეში“, „ძირეული პრესის მუშაობის ფორმები“, „კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის მუშაობა ავტორთა აქტივთან“, „კედლის გაზეთის გაფორმება“ და სხვ.

საკონსერვო ქარხნის კედლის გაზეთის რედაქტორმა ამხ. ვ. მიხაილიდი სემინარის მონაწილეებს გაუზიარა საქარხნო კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის მუშაობის გამოცდილება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეხუთე წლისთავისადმი მიძღვნილი

საზეიმო სხდომა გერლინში

ბერლინი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ბერლინში გერმანიის სახელმწიფო ოპერის თეატრის შენობაში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მეხუთე წლისთავს.

გერმანელი ხალხის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავ სხდომაზე შეიკრიბნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატისა და მხარეთა პალატის დეპუტატები, დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, შრომის გმირები და წარმოების აქტივისტები, მშრომელ გლეხთა წარმომადგენლები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები.

სხდომის პრეზიდიუმის თავზე გაკეთებულია გერმანელი ხალხის ისტორიაში პირველი ნამდვილი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს, ერთიანი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის აშენებისათვის გერმანელი ხალხის ბრძოლაში სიმეფო ბურჯის — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გერბი.

საღამოს ექვსი საათია. საზეიმო სხდომის მოწაწყლენი მეუხარე, ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ოტო გროტეოლს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარის მოადგილეს გერმან მატერნს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, პრემიერ-მინისტრის მოადგილეს ვალტერ ულბრიხტს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეებს ოტო ნუშკეს, ჰენრიხ რაუს და პაულ შოლცს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს კარლ შირდევანს, ვილი შტოფს, მინისტრებს, მხარეთა პალატის თავმჯდომარეს რაინგოლდ ლობედანცს, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეებს, რომლებიც პრეზიდიუმში შემოდიან.

დარბაზში დიდხანს გრიალებს ტაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეხუთე წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსული საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის, აგრეთვე დელეგაციის წევრების — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ჰ. ნ. პოსპელოვის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ა. ნ. ნესმეიანოვის, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ო. ი. ივაშჩენკოს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის ელჩის გ. მ. პუშკინის პატივსაცემად.

შეკრებილნი მხურვალედ მიესალმებიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილის ჩენ ის მეთაურობით, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის იუზეფ ცირანკევიჩის მეთაურობით, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისას — ეროვნული კრების თავმჯდომარის ზდენეკ ფირლინგერის მეთაურობით, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისას — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ანტალ ბპროს მეთაურობით, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისას — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის კივუ სტოიკას მეთაურობით, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისას — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ჩანკოვის მეთაურობით, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისას — სახელმწიფო კონტროლის კომისიის თავმჯდომარის შეფეთიეთ პეჩის მეთაურობით, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისას — მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, გენერალური პროკურორის ჟამბალდორჟის მეთაურობით, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისას — მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილის და მსუბუქი მრეწველობის მინისტრის, ბ. ა.

ის მეთაურობით, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისას — სსრ კავშირში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩის ნგუენ ლონგ ბანგის მეთაურობით, აგრეთვე საფრანგეთიდან, ბელგიიდან, ჰოლანდიიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ სტუმრებს.

შეკრებილნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ვილჰელმ პიკს, რომელიც მთავრობის ლოჟაში გამოჩნდა.

საზეიმო სხდომას ხსნის გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვალტერ ულბრიხტი.

სხდომის მონაწილეთა ტაშის გრიალში იგი მიესალმება პრეზიდენტ ვილჰელმ პიკს, პრემიერ-მინისტრ ოტო გროტეოლს და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეხუთე წლისთავის დღესასწაულზე ბერლინს ჩამოსულ უცხოეთის დელეგაციათა ხელმძღვანელებსა და წევრებს.

შემდეგ ვალტერ ულბრიხტი სიტყვას აძლევს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ოტო გროტეოლს. შეკრებილნი მქუხარე ტაშით ეგებებიან მის გამოჩენას ტრიბუნაზე.

ოტო გროტეოლის სიტყვა, რომელიც დიდი ინტერესით მოისმინეს შეკრებილებმა, არაერთხელ შეწყვეტილა ტაშით.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ სიტყვა მისალმებისათვის ეძლევა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელს ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს. მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან შეკრებილნი ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის ასვლას ტრიბუნაზე.

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და არაერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით.

შემდეგ საზეიმო სხდომაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს უცხოეთის დელეგაციების მეთაურებმა, რომლებიც ჩამოვიდნენ დღესასწაულზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეხუთე წლისთავის გამო.

ვილჰელმ პიკის დაჯილდოება ორდენით „სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის“

ბერლინი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის საგენტო იუწყება, დღეს პრემიერ-მინისტრმა ო. გროტეოლმა პრეზიდენტ ვილჰელმ პიკს საზეიმო ვითარებაში გადასცა 1-ლი ხარისხის ორდენი „სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის“.

ვილჰელმ პიკი დაჯილდოებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით რესპუბლიკის მეხუთე წლისთავთან დაკავშირებით გერმანიის ერთიანობისათვის ბრძოლაში და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისა და განმტკიცების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის.

ორდენებით დაჯილდოება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეხუთე წლისთავის გამო

ბერლინი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის საგენტო იუწყება, 1954 წლის 6 ოქტომბერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების მეხუთე წლისთავის გამო ორდენები „სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის“ გადასცა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა, წარმოების ნოვატორთა, სოფლის მეურნეობის მოწინავეთა, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა დიდ ჯგუფს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო, ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში დამსახურებისათვის. ორდენები გადაეცათ აგრეთვე რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების მთელ რიგ მუშებს.

1-ლი ხარისხის ორდენით „სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის“ დაჯილდოებულ არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტეოლი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვ. ულბრიხტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და ფინანსთა მინისტრი გ. ლიხი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ბოლცი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და სასოფლო და სატყეო მეურნეობის მინისტრი პ. შოლცი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი ვ. შტოფი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უშიშროების საქმეთა სტატს-მდივანი ე. ვოლკენერი.

მე-2 ხარისხის ორდენით „სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის“ დაჯილდოებული არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრი ბეხერი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში აპელტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი გ. ხანდკე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში ბ. კენენი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ი. კენიგი.

პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა დაჯილდოებულთ მიმართა სიტყვით, რომელშიც მიულოცა მათ მაღალი ჯილდო და უსურვა შემდგომი წარმატებანი მუშაობაში.

პროკურორი სახელმწიფო მოღვაწეა

მ. თოფურიძე,
საქართველოს სსრ პროკურორი.

პროკურორის წინაშე დგას სახელმწიფოს ინტერესების დაცვის პასუხსაგები ამოცანები. იგი ახორციელებს საერთო ზედამხედველობას კანონების შესრულებისადმი, კონკრეტულ საქმეთა გამოძიებისადმი, სასამართლოებში სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების სწორად განხილვისადმი. პროკურატურა ახორციელებს ზედამხედველობას მილიციისადმი.

ეწევა რა გადამწყვეტ ბრძოლას ქურდების, სოციალისტური საკუთრების დამტაცებლების წინააღმდეგ, პროკურორი კონკრეტულ გამოსაძიებელ საქმეთა გამოკვლევისას და საერთო ზედამხედველობის წესით შემოწმების ჩატარებისას უნდა სწავლობდეს ვითარებას, რომელიც ხელს უწყობს სოციალისტური საკუთრების დანაშაულებრივ ხელყოფას. იგი უნდა ააშკარავებდეს ნაკლოვანებებს სოციალისტური საკუთრების დაცვაში, მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა შერჩევაში, მათი მუშაობისადმი კონტროლში, საბუხჰალტრო აღრიცხვის დაყენებაში, მატერიალურად პასუხისმგებელ პირთათვის რევიზიების გაკეთებაში. ნაკლოვანებების გამორკვევისას პროკურორი ძოვალეა მიიღოს მასზე დამოკიდებული ყველა ღონისძიება მათი აღკვეთისათვის.

მაგალითად, ქალაქ თბილისის სტალინის რაიონის პროკურატურაში შემოვიდა სიგნალები, რომ თბილისის თამბაქოს ფაბრიკებში ცალკეული მუშები სისტემატურად იტაცებდნენ პაპიროსს. პროკურორმა ვ. დ. ლეონიძემ შეამოწმა შემოსული სიგნალები და გამოარკვია, რომ თამბაქოს ფაბრიკების ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყო სახელმწიფო ქონების ჯეროვანი დაცვა. ამის გამო თამბაქოს ფაბრიკებში მზა პროდუქციის მოპარვის არაერთი ფაქტი იყო. ქურდობაში დაიჭირეს ისეთი პირები, რომლებიც წინათ გასამართლებული იყვნენ ანგარებითი დანაშაულისათვის და კვლავ მიღებულ იქნენ იმავე სამუშაოზე.

პროკურორი ლეონიძე არ დასჯერდა კონკრეტული დამნაშავეების სისხლის სამართალში მიცემას. მან პარტიული ორგანოების წინაშე დააყენა საკითხი. მიღებულმა ღონისძიებებმა მკვეთრად შეამცირა თამბაქოს ნაწარმის დატაცების შემთხვევები.

ასეთივე მუშაობა გასწია ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიონის პროკურორმა ს. ი. ქაჯაიამ თბილისის ხორცკომბინატში.

აწყობენ რა ბრძოლას დანაშაულობათა წინააღმდეგ, კერძოდ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების წინააღმდეგ, პროკურატურის ორგანოები ეყრდნობიან მშრომელთა დახმარებას, რომელსაც თავიანთ წმიდა მოვალეობად მიაჩნიათ დამნაშავეთა მხილება.

პროკურორი სახელმწიფო მოღვაწეა. იგი ყოველთვის უნდა გამოდიოდეს როგორც სახელმწიფო ინტერესების დამცველი. ეს მაღალი თანამდებობა ღირსეულად უჭირავს პროკურატურის მუშაკთა უდიდეს უმრავლესობას.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ასსრ პროკურორის ა. ი. ლომინაძის საქმისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის, ქალაქ ტყვარჩელის პროკურორის თანაშემწის ა. ტ. ემუხვარის მიერ კარგად ჩატარებული გამოკვლევის შედეგად წელს გაგრის რაიონში, სოფელ ხეინის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მხილებულ იქნა სახელმწიფო და საკოლმეურნეო სახსრების დამტაცებელთა ჯგუფი.

რამდენი უსაფუძვლო განცხადება და საჩივარი შეიტანა სხვადასხვა ორგანიზაციებში ამ კოლმეურნეობის გამგეობის ყოფილი თავმჯდომარის ს. კ. ჭანიას ცოლმა იმის შესახებ, რომ მისი ქმარი არაფერში დამნაშავე არ არის, რომ საქმის გამოძიება არაობიექტურად წარმოებსო და სხვ.

სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ ჭანიამ დანაშაულებრივი კავშირი დაამყარა განთიადის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის დირექტორთან ტ. ქანთარიასთან.

ს. ჭანიასა და ტ. ქანთარიას შეთანხმებით, ქარხნის დამამზადებელი პუნქტი კოლმეურნეობას აძლევდა საბუთებს ფაქტიურად ჩაუბარებელ 25 ტონა თამბაქოზე. ეს საშუალებას აძლევდა კოლმეურნეობას ხელოვნურად ეჩვენებინა თამბაქოს ჩაბარების გეგმის შესრულება 117 პროცენტით, ხოლო გეგმის ასეთი გადაჭარბებისათვის ქარხანას კოლმეურნეობისათვის უნდა გადაერიცხა 747.000 მანეთი.

თამბაქოს დანაკლისი ქარხნის ხელმძღვანელებს უნდა დაეფარათ „ნამეტით“, რაც ფერმენტაციის დროს თამბაქოს შრობის გადიდებული პროცენტის ჩამოწერის გზით შექმნეს. ასეთი გარიგება ორივე მხარისათვის იყო ხელსაყრელი. კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის უნდა მიეღოთ რამდენიმე ათასი მანეთი პრემია, ხოლო 142.796 მანეთი მოდიოდა ქარხნის ცალკეული მუშაკების წილად, რომლებმაც გამოწერეს 16 ფიქციური საბუთი 25,2 ტონა თამბაქოს მიღების შესახებ.

მთავარ დამნაშავეებს ამ საქმეში — ჭანიასა და ქანთარიას მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ოც-ოცი წლით. სათანადო სასჯელი მიიღეს სხვა პირებმაც.

ყურადღებით სწავლობს და ამოწმებს მიღებულ წერილობით განცხადებებსა და სიგნალებს მახარაძის რაიონის პროკურორი ა. ა. წიტაიშვილი. ერთ-ერთი განცხადების შემოწმების შემდეგ ამხ. წიტაიშვილმა გამოავლინა 127.133 მანეთის დატაცება მახარაძის რაიონული სამომხმარებლო კავშირის გარეუბნის კოოპერატივში.

უმნიშვნელოვანესი ადგილი იმ მუშაობაში, რომელსაც პროკურატურის ორგანოები ყოველდღიურად ახორციელებენ, უჭირავს ბრძოლას კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დაავალა სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს უზრუნველყონ სისტემატური კონტროლი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მტკიცედ დაცვისადმი.

პასუხისგებაში აძლევენ რა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამრღვევებს, პროკურორები ამავე დროს საერთო ზედამხედველობის წესით არკვევენ საკოლმეურნეო მოწყობა-სარგებლობის, კოლმეურნეობების დემოკრატიული მართვის საფუძვლების, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების დარღვევის შემთხვევებს და აღწერენ ამ დარღვევათა აღმოფხვრას. ამ ხოლო დროს პროკურატურის ორგანოებმა კარგ შედეგებს მიაღწიეს საკოლმეურნეო საკუთრების დაცვისათვის, კოლმეურნეობათა დებიტორული დავალიანების ლიკვიდაციისათვის, კოლმეურნეობათა უკანონოდ მიტაცებული საზოგადოებრივი მიწის დაბრუნებისათვის ბრძოლაში.

მთელ რიგ შემთხვევებში პროკურორები ხვდებიან სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მე-17 მუხლის დარღვევას. არის კოლმეურნეობიდან კოლმეურნეთა უკანონოდ გარიცხვისა და წესდებით გაუთვალისწინებელ ჯარიმათა გადახდევინების ფაქტები.

აწყობენ რა შემოწმებას სამრეწველო საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და მტს-ებში, პროკურატურის ორგანოები აქტიურად უწყობენ ხელს შრომის დისციპლინის განმტკიცებას, მშრომელთა აღზრდას შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით.

ქალაქ თბილისის პროკურატურის მიერ ჩატარებული შემოწმებით გამორკვა, რომ კირვის სახელობის ქარხანაში ხშირი იყო შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, ამასთან დისციპლინას ძირითადად არღვევდნენ სახელოსნო სასწავლებლებიდან მოსული ახალგაზრდა მუშები. ეს მნიშვნელოვანწილად გამოწვეული იყო იმით, რომ ადმინისტრაცია ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა მუშებისათვის ნორმალური საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას, ახალგაზრდა მუშების აღზრდას დისციპლინისადმი, შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით.

ამავე დროს შემოწმების ჩატარებისას გამორკვეულ იქნა შრომის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევები.

ქალაქ თბილისის პროკურორმა ვ. ნ. ხმალაძემ შეიტანა წინადადება ქარხნის დირექტორის სახელზე და დააყენა საკითხი ქარხანაში წესრიგის დაუყოვნებლივ დამყარებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ.

პროკურატურა იბრძვის მოქალაქეთა საბინაო უფლებების დაცვისათვის და სამართალში აძლევს ამ უფლებების დარღვევებს. მაგალითად, მოქ. ი. პ. ანტოშვილი, რომელიც ცხოვრობს ქ. თბილისში ხეთაგუროვის ქუჩაზე № 41, 1953 წლის დეკემბერში მოსკოვში წავიდა პირად საქმეებზე. № 55 სახლმმართველობის კომენდანტმა ა. ს. აიდინოვმა შეადგინა ფიქციური აქტი იმის შესახებ, რომ მოქ. ანტოშვილი თითქოს 6 თვეზე მეტია არ ცხოვრობდა თავის ოთახში, შეცდომაში შეიყვანა სახლის მობინადრენი, ხელი მოაწერინა მათ ამ აქტზე და წარუდგინა იგი მოლოტოვის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომს. რაიაღმასკომის 1954 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით მოქ. ანტოშვილის ოთახი სხვა პირს გადაეცა.

სწორად მოიქცა მოლოტოვის რაიონის პროკურორი შ. ი. გუმბარიძე, რომელმაც გააპროტესტა რაიაღმასკომის ეს გადაწყვეტილება როგორც არასწორი, მიაღწია მოქ. ანტოშვილის დარღვეულ უფლებათა აღდგენას და ამავე დროს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა კომენდანტი ა. ს. აიდინოვი.

პროკურატურის ორგანოები იცავენ საბჭოთა ოჯახის ინტერესებს, მკაცრად სჯიან იმ პირებს, რომლებიც ივიწყებენ მშობლის მოვალეობას და უსახსროდ სტოვებენ თავიანთ შვილებს.

მიუხედავად იმისა, რომ პროკურორთა დიდ ნაწილს სწორად აქვს შეგნებული მის წინაშე მდგომი პასუხსაგები ამოცანები და კეთილსინდისიერად ასრულებს მათ, ჯერ კიდევ არიან ისეთი პროკურორები, რომლებმაც ვერ შეძლეს მუშაობის გარდაქმნა ახალ მოთხოვნათა საფუძველზე, არ ზრუნავენ საკუთარი იდეურ-თეორიული დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მუშაობაში ვერ იჩენენ ინიციატივას და ოპერატიულობას, უშვებენ სერიოზულ დარღვევებს. ასეთთა რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურორი ა. მ. ბუაჩიძე.

მიუხედავად იმისა, რომ ამხ. ბუაჩიძე დიდი ხანია მუშაობს პროკურატურის ორგანოებში, იგი ზრდის ნაცვლად ჩამორჩა, ვერ უპასუხებს პროკურორის მაღალ მოთხოვნებს, ცუდად ხელმძღვანელობს საპროკურორო მუშაობის ყველა უბანს, ვერ უზრუნველყო

ზამთარში შეუფერხებელი მუშაობისათვის

ჭიათურაში ყველას კარგად ახსოვს წარშანდელი ადრეული, მკაცრი და ხანგრძლივი ზამთარი. ძლიერმა ყინვებმა და ქარბუქმა სერიოზულად შეაფერხა მაღაროების, ფაბრიკების, ტრანსპორტის მუშაობა. საგრძნობლად შემცირდა მარგანეცის გამოღება და გაზიდვა.

გასული წლის მწარე გაკვეთილები, ბუნებრივია, წელს უნდა გავიხსენოთ და გულდასმით მოვემზადოთ ზამთარში შეუფერხებელი, რიტმული მუშაობისათვის. რა მდგომარეობაა : ამ მხრივ მარგანეცის მრეწველობაში? არც მაინცდამაინც სახარბიელო.

მართალია, მარგანეცის ტრესტის მმართველობამ ვრცელი ბრძანება დაწერა ზამთრისათვის მაღაროების მომზადების შესახებ. შესაბამისი ბრძანებები დაიწერა ცალკეულ მაღაროებში, მშენებლობებზე და მსხვილ საწარმოებშიც. ზამთრისათვის მზადების საკითხზე დაწვრილებით იმსჯელეს მაღაროების პარტიულმა ორგანიზაციებმა და კონკრეტული ღონისძიებები დასახეს. ზამთრისათვის მოსამზადებლად ზოგირამ კიდეც გაკეთდა, მაგრამ ოქტომბერი დადგა და ბევრი რამ კვლავ გასაკეთებელია.

ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროებში ჭიანურდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა რემონტი, რადგან ხე-ტყის მასალის ნაკლებობას განიცდიან. თითქმის სრულიად არა აქვთ სასახურავე ფურცლოვანი თუნუქი ან სხვა მასალა, ფანჯრებისათვის — მინა და სხვ. ამავე მიზეზით ფერხდება მადნის გამაუხვებელი ფაბრიკების, სამრეწველო ნაგებობათა შეკეთება. ფაბრიკებში არ დაუწყიათ ფანჯრებში მინების ჩასმა, მილგაყვანილობის შეფუთვა. სტალინის სახელობის მაღაროს თხილისწყლის ბინებში ცენტრალური გათბობის მოწყობა ჭიანურდება. ჯერაც არ დაუწყიათ მწვარის ბუნკერისა და ესტოკადის კაპიტალური რემონტი. ყველგან არ არის შექმნილი შეშისა და ქვანახშირის საკმაო მარაგი.

განსაკუთრებით მწვავედ დგას მაღაროების ბიგებით უზრუნველყოფისა და სამაგრი მასალის საზამთრო მარაგის შექმნის საკითხი. მარგანტრესტის მმართველობის ბრძანებით ავტოგარაჟს ჯერ კიდევ 15 აგვისტოდან უნდა დაეწყო მაღაროებისათვის სამაგრი მასალის საზამთრო მარაგის შექმნა. მარტო ოთხ მაღაროში ავტომანქანებით 6.000 კუბმეტრი სამაგრი მასალის მარაგი უნდა მიეზიდათ. დრო გადის, ხელსაყრელ ამინდს ხელიდან უშვებენ. სამაგრი მასალის ნაკლებობით ფერხდება მაღაროების მუშაობა. საკმარისია ითქვას, რომ სტალინის სახელობის მაღაროს მერვე უბანი 10 სექტემბერს შეფერხდა სამაგრი მასალის უქონლობის გამო. ასეთ პირობებში საზამთრო მარაგის შექმნაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ლენინის სახელობის მაღაროში მარაგისათვის 2.000 კუბმეტრი ბიგი უნდა მიეზიდათ, მაგრამ ჯერ ერთი კუბმეტრიც არ მიუტანიათ.

სრულ წესრიგში არც ყველა ავტომანქანაა. ავტოგარაჟს ძირითადი ნაწილები და სალტეები აკლია. მარტო ამ მიზეზით 12 სატვირთო მანქანა არ მუშაობს. სათადარიგო ნაწილებით მომარაგებაზე არაერთი მიმართვა გაიგზავნა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროში, „გლავავტოტრაკტორსბიტის“ საქართველოს კანტორაში. მარგანტრესტის წარმომადგენლები ბევრჯერ სპეციალური მივლინებითაც ჩავიდნენ მოსკოვსა და თბილისში, მაგრამ ამაოდ. „გლავავტოტრაკტორსბიტის“ საქართველოს კანტორის მმართველი ამხ. მიქაძე ჭიათურელებს ბევრს პირდება, ნაწილებს კი ცოტას აძლევს. მეტი ანგარიში უნდა გაუწიოს ჭიათურას „სნაბჩერმეტის“ ამიერკავკასიის კანტორამაც, რომლის მოქნილ და ოპერატიულ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული მარგანეცის მრეწველობის მომარაგება მასალებით და ზამთრისათვის კარგად მომზადება.

აღმოვფხვრათ ყველა ნაკლი, მაქსიმალურად გამოვიყენოთ დარჩენილი დრო და საშუალებები, სანიმუშოდ მოვემზადოთ ზამთარში შეუფერხებელი და რიტმული მუშაობისათვის.

პ. ჯიოკაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ კომკავშირელმა ანა პატარავამ მიმდინარე სეზონში მოკრიფა 7.600 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. სურათზე: ა. პატარავა ჩაის კრეფის დროს.

ფოტო კ. კრიმსკისა.

მივბაძოთ მოწინავეებს ჩაის ფოთლის კრეფაში

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგოითის ლიბკნეხტის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა შესანიშნავი მუშაობა გასწიეს ჩაის ბაღში სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების გასანაღდებლად. კოლმეურნეები ადრე დილიდან გვიან საღამომდე თავს დასტრიალებენ ჩაის ბუჩქებს, მზრუნველობით უვლიან მათ, არ კარგავენ ფოთოლს, ამიტომ მიაღწიეს წარმატებას — რაიონში პირველად შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება. მთელი პოკრეფილი ფოთლის 95 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ჩაის უხვი მოსავლის მიღებაში სერიოზულ წარმატებათა მოპოვებისათვის ამ დღეებში ნიგოითელ მეჩაიეებს გადაეცათ პარტიის ლანჩხუთის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა.

მოწინავე მეჩაიეებმა ვენერა გოგუაძემ, მარგალიტა კვიჭიძემ, მარგალიტა კალანდარიშვილმა, ფ. დოლიძემ, პ. წულაძემ, რომლებმაც ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალებები ვადამდე შეასრულეს, პირობა დაიეს სეზონის ბოლომდე თვითეულმა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში თავი ისახელა ს. ლომაძის ბრიგადამ, რომელმაც წლიური დავალება 110 პროცენტზე მეტით გაანაღდა, წლიური გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე ი. კალანდარიშვილის ბრიგადამ.

სამშობლო უფრო მეტს, მაღალხარისხოვან ჩაის ფოთოლს მოელის. ეს კარგად იციან ნიგოითელმა კოლმეურნეებმა. ამიტომ ისინი თავდადებით იბრძვიან იმისათვის, რომ წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩაბარონ 14 ათასი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

ასევე კარგად მუშაობს წყალწმინდის მარტის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე დ. მიქაბერიძე, პარტიიურის მდივანი ე. კვაჭანტირაძე). წყალწმინდელმა კოლმეურნეებმა ვადამდე შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმა. მათი ვალდებულებაა გეგმის გადამეტებით ჩააბარონ სახელმწიფოს 30 ათასი კილოგრამი მაღალხარისხოვანი ნედლეული.

ამ მოწინავე კოლმეურნეობათა მაგალითი იმას მოწმობს, რომ ჩაის კრეფის გეგმის შესრულების შესაძლებლობა ყველა კოლმეურნეობას აქვს, მით უმეტეს, როცა მეჩაიე კოლმეურნეობათა პირობები ერთნაირია. მაგრამ საქმის არის, რომ ყველგან როდი მუშაობენ საქმის ცოდნით, ცუდად აქვთ დაყენებული შრომის ორგანიზაცია. მთელი რიგი კოლმეურნეობები უშვებენ ჩაის გაუხეშებას, დანაკარგებს. ეს გარემოება ავალებს რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს კონკრეტული დახმარება გაუწიონ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს და დარაზმონ ისინი ჩაის კრეფის წლიური გეგმის შესრულებისათვის.

ფოთოლი არის. დარჩენილი დღეები მაღალნაყოფიერად უნდა გამოვიყენოთ. ამჟამად მეტად მნიშვნელოვანი საქმეა თვითეული კილოგრამი ჩაის ფოთლის კრეფისათვის ბრძოლა. ეს გადაწყვეტს რაიონში ჩაის კრეფის წლიური გეგმის შესრულების ბედს.

ბ. ჩხაიძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გეგმის გადამეტებით 80 ტონა ჩაის ფოთლისათვის

ოჩამჩირის რაიონის მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ სეზონის დაწყებიდან მოკრიფა 1.073.350 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი და წლიური დავალება 100,3 პროცენტით შეასრულა. მოკრეფილი ჩაის ფოთლის 69 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშათა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და მრეწველობას ჩააბარონ 80.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. (**„კომუნისტის“ კორ.**).

ფელეტონი

წაღვერული „ხუმრობა“

ხეობიდან მონაბერი გრილი ნიავი ნელა არხევდა სურნელოვან ყვავილებს. შრიალებდნენ ჭადრის ფოთლები... მომხიბლავი იყო წაღვერის ფერდობებზე შეფენილი ხეივნები. გაზაფხულის დილის მყუდროებას არღვევდა მოჩუქურთმებულ აივანზე გადმომჯდარი ჭაბუკი, რომელიც გიტარაზე აკვნესებდა დედაქალაქში შესწავლილ სიმღერას:

...ნუთუ ალარ მოგენატრე, რაც
აქედან წახველ?
ახ, ნეტავი ერთად იყოს თბილისი და
წაღვერი...

— რა უქნარობაში ატარებს დროს, წაილაპარაკა უანაში მიმავალმა კოლმეურნემ და თმაქოჩორა გივი ლომთათიძეს ალმაცერად შეხედა. ჭაბუკი ვეღარ ისვენებდა, კვალდაკვალ დასდევდა თავის სიხარულს, ჩიტუნიას — თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტს მერი ცინცაძეს. კარიბჭესთან მოურიდებლად მიიჭრა:

— არა და არა, ძვირფასო მერი! შენი უმანკო სიყვარულის გარეშე არ არსებობს ჩემი მომავალი, ლამის არის ჭკუაზე შევიშალო. მსურს შევქმნა ახალი, ბედნიერი ოჯახი! — გივის ცრემლიც მოერია, ასლუკუნდა, თან მელიას თვალებით გახედა: იმოქმედა თუ არა. იმოქმედა. თაფლივით ენამ გოგონას გული მოულბო. გადაუყვიტეს დაქორწინება. დილამდე გაისმოდა გარმონის ხმა, დოლის ბაგა-ბუგი... გალაღებული გივი წაღვერელებს უხმობდა:

— მოგვილოცეთ ბედნიერება, მოგვილოცეთ!..

მალე სიხარულის დღეებს ახალი სიხარული დაემატა — გივისა და მერის თვალუწუნა გოგონა მარინე შეეძინათ.

— შენ გენაცვალოს მამიკო, ტა-ტატა ლა კალგი ხალ, ლა კალგი, — ენას უჩლექდა. მაგრამ როგორც კი კარიბჭეს დატოვებდა, ცოლშვილი ავიწყდებოდა: ლოთობას გადაჰყვა, ლოთობა კი ყველა ბოროტების წყაროა. გივის გულში სიყვარული სანთელივით ნელ-ნელა დნებოდა. პრასა ხომ არა ვარ, მეორედ ამოვიდე, კაცი მქვია და არა ქალაჩუნა. სანამ დრო გაქვს, გივი, ილაღე, ინავარდე, — ეუბნებოდა თავის თავს.

შეიძულა, შეიზიზღა ოჯახი. სამაგიეროდ ტკბილად იხსენებს დედაქალაქის ქუჩებში გატარებულ დღეებს, თავისთვის საამაყო, სხვების მიერ დასაგმობ ვაჟკაცობას... აი ერთხელ მეგობართან ერთად ლამაზ გოგონას შინ მიუხტა და სადღაც გაიტაცა... დამნაშავეს ათი წელი მიუსაჯეს, მაგრამ საპატიმროდან ცხრა თვეში გამოძვრა. ამბობენ, მამამისი პურმარილიანი კაცია, ამოღებულ ხმალს ფხას დაუკარგავს, პროკურატურის ზოგიერთ დონდლო მუშაკს ხომ ნუღარ იტყვით!

ახალგაზრდა კომკავშირელი მერი წაღვერში, სახლში ჩაკეტა. თვითონ გივიმ რუსთაველის პროსპექტზე „სტილნი“ ძმაბიჭებთან დაიწყო დროს ტარება. ვისღა ახსოვს პატარა მარინე, მისი საყვარელი ტიკტიკი...

გივიმ მისასალმებელი ნაბიჯი გადადგა — გადაწყვიტა უმაღლეს სასწავლებელში შესვლა, მეცნიერების დაუფლება. დადგა ნანატრი დღე. ის სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის [illegible] ლებს, ღელავს...

საგამოცდო კომისიის წევრმა ახედ-დახედა ფერმკრთალ ახალგაზრდას, ჰკითხა:

— თქვენი გვარი?

— ლომთათიძე! — იყო თავჩაქინდრულის პასუხი.

— სახელი?

— გივი!

ერთი სიტყვით, პროფესორს ყველა კითხვაზე პასუხი გასცა. ნიშანიც სანიმუშო მიიღო. ხოლოს თლილი კიბე მარდად ჩამოირბინა და ხეივანში დანიშნულ ბუჩქთან მიიჭრა.

— რა ქენი? — ჰკითხა დამხვდურმა.

— საქმე ალჩუზეა, — უპასუხა და თან ცერი უჩვენა, — რაც მითხარი, ასრულდა. რა დოყლაპიები ყოფილან უნივერსიტეტშიც, — ხელის ჩაქნევით დაასრულა სიტყვა. გივიმ სიმწრის ოფლი მოიწმინდა. მეგობარმა — უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა, კომკავშირელმა რაფიელ აკოფიანმა დათვური სასასხური გაუწია: კომკავშირელ გივი ლომთათიძის საგამოცდო ფურცელში თავისი სურათი ჩააკრა და გამოცდები ჩააბარა, ხოლო ერთ-ერთ ფაკულტეტზე გივი დაჯდა. ამ ოპერაციას მეგობრებმა „წაღვერული ხუმრობა, ბავშვური ცელქობა“ შეარქვეს.

უმაღლეს სასწავლებლებში მიღების რამდენ ჩამაფერებელ ამბავზე მეტყველებს ეს ფაქტი!

ხავსმოკიდებული მორალი გივის უნივერსიტეტმაც ვერ გაუსუფთავა. მართალია, ლექციებს ისმენს, ბეჯითობს, მაგრამ თავისას მაინც არ იშლის, წინ არ იყურება. როცა არ უნდა, რიყეზე ისე გაივლის, ქვასაც კი არ დაინახავს, თუ სურს, კოლოს გაფრენაც არ გამოეპარება.

ერთ საღამოს, როცა მთვარე წაღვერის მიმზიდველ ხეივნებს დაჭყანტეოებდა, გივი მეგობრებთან ერთად ღვინის საწყობში ვარხალალოს გასძახოდა. გარეთ გამოსვლისას უეცრად თვალი მოჰკრა დაუძინებელ „მტერს“ — მერის ნაავადმყოფარ მამას.

მეგობრებმა გივის სიმამრი თვალის დახამხამებაში დაეეეეს, ცხვირპირიდან სისხლი ადინეს. როგორც იქნა, გამოჩნდა მილიციის მუშაკი. შედგა აქტი. აქტი წარგზავნეს ბორჯომის რაიპროკურატურაში, სადაც მეორე დღესვე მაღაზიის დირექტორი, პურმარილიანი კაცი — გივის მამა გაჩნდა და... საბრალდებო აქტი ქაღალდების ზღვაში ჩაიძირა.

— წაღვერული ხუმრობა არ იცით, ვის უჩივით? — ჯავრობს პროკურატურის მუშაკი. — რა საკადრისია! დღეს შენ გტაცია, ხვალ შენ სტაცეს, მერე შერიგდით და ტკბილი პური ვჭამოთ!..

უცნაური რამ ყოფილა წაღვერული ხუმრობა!

იქნებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ან პროკურატურის მუშაკებმა განგვიმარტონ: რა ჰქვია ყოველივე ამას? მართლა წაღვერული, ბავშვური ცელქობა თუ თაღლითობა?!

ა. გოცირიძე.

ᲛᲘᲙᲝᲚᲐ ᲒᲐᲭᲐᲜᲘ

(დაბადების 50 წლისთავის გამო)

8 ოქტომბერს უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის კონფერენცდარბაზში გაიმართება საერთო-საქალაქო კრება გამოჩენილი უკრაინელი მწერლის მიკოლა ბაჟანის იუბილეს აღსანიშნავად. ასევე აღინიშნება პოეტის იუბილე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებსა და ქალაქებში.

მიკოლა ბაჟანი საყვარელი პოეტია არა მარტო უკრაინისა. მისმა პოეზიამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა საქართველოშიც და უკრაინის მოძმე სხვა ხალხებშიც.

პოეტი დაიბადა კამენეც-პოდოლსკში საბჭდრო მოსამსახურის ოჯახში. ჯერ უმანის გიმნაზიაში სწავლობდა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კოოპერაციულ ტექნიკუმად გადაკეთდა, ხოლო შემდეგ 1921 წლიდან — კოოპერაციულ ინსტიტუტში კიევში. აღნიშნული სასწავლებლის შემდეგ სწავლობდა საგარეო ურთიერთობის ინსტიტუტში.

ბაჟანის პირველი ნაწარმოები — „ბალადა ევმენის შესახებ“ — 1923 წელს დაიბეჭდა. ამას მოჰყვა პოეტის მთელი რიგი ახალი ლექსები და პოემები. ბაჟანის ლექსები უკრაინულ ენაზე სხვადასხვა დროს დაიბეჭდა მთელი რიგი კრებულების სახით. დიდი პოპულარობა ხვდა ამ კრებულებს შორის „სამშობლოს წყრომას“ (1941 წელი), „ფიცს“ (1942), „სტალინგრადის რვეულს“ (1943).

ომის პერიოდში დაწერილი თავისი ლექსებისა და პოემებისათვის, კერძოდ, პოემა „დანილო გალიცკისათვის“, ბაჟანს 1945 წელს სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება მიეკუთვნა.

პოეტის ლექსების პირველ კრებულს — „მეჩვიდმეტე პატრულს“ (1926) ახასიათებს გმირულ-რომანტიკული განწყობილება, სამოქალაქო ომის პათოსი. ლექსები გამსჭვალულია რევოლუციისათვის თავდადების იდეით.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბაჟანისათვის იმ კეთილმყოფელ გავლენას, რომელიც მასზე მოახდინა ჩვენი საბჭოთა ეპოქის საუკეთესო, უნიჭიერესმა პოეტმა მაიაკოვსკიმ. საყურადღებოა ბაჟანის მნიშვნელოვანი თხზულება „ჰამლეტის სიკვდილი“ (1932), „ვნებათა ტრილოგია“, „მებაღე“ (1934), პოემა კიროვზე „უკვდავება“ (1935-1937) და სხვ.

სოციალისტური რეალიზმის ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენენ ბაჟანის ნაწარმოებები, რომლებშიც პოეტი აგვიწერს საბჭოთა ხალხის სიხარულს, შრომას, წინსვლას, მშენებლობას, ქვეყნის კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებას.

თავისი შემოქმედება პოეტმა ადრევე დააყენა სოციალისტური სამშობლოს სამსახურში. არ ყოფილა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში არცერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელსაც გავლენა არ მოეხდინოს პოეტზე და გამოსახულება არ ეპოვოს მის შემოქმედებაში.

მნიშვნელოვანია სახელოვანი უკრაინელი პოეტის მონაწილეობა სამამულო ომში. განსაკუთრებით ღრმა და ამაღელვებელი შინაარსითა და მაღალი ოსტატობით გამოირჩევა პოეტის მიერ სამამულო ომის პერიოდში დაწერილი ლექსები და პოემები. მათ შორის ომის პირველ თვეებშივე გამოქვეყნდა ბაჟანის ცნობილი ნაწარმოები „ფიცი“, რომელშიც პოეტი ეხება სამამულო ომში საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა ურღვევი მეგობრობის თემას. ამავე თემას მიუძღვნა პოეტმა ლექსები—„გაფრინდით, არწივნო“, „ნუ დავინდობთ ძაღლებს“, „ბალადა გმირობაზე“ (მფრინავ გასტელოს შესახებ), „ჩვენი ტანკი“, „შენი შვილი“, „რკინის ჯვარი“ და სხვ.

ᲛᲘᲙᲝᲚᲐ ᲑᲐᲭᲐᲜᲘ.

• • •

1942 წელს ბაჟანმა დაწერა ისტორიული პოემა „დანილო გალიცკი“. პოემაში აღწერილია მთავარ დანილოს ბრძოლა XIII საუკუნის პირველ ნახევარში ლივონიის ორდენის წინააღმდეგ, გერმანელი რაინდების წინააღმდეგ. ამ ნაწარმოებით მიკოლა ბაჟანი ცოცხლად ეხმაურებოდა თანამედროვეობას, იწვევდა ხალხში ღრმა პატრიოტულ კრძნობას, სამშობლოსათვის თავდადებისა და ღრმა ერთგულების გრძნობას.

სტალინგრადის გმირულ დაცვას მიუძღვნა მიკოლა ბაჟანმა თავისი კრებული „სტალინგრადის რვეული“, რომელშიც 1942-43 წლებში დაწერილი ათი ლექსი შევიდა. მასში პოეტმა, რომელიც თვითონ იყო ისტორიული ამბების საკუთარი თვალით მნახველი და მოწმე, განსაკუთრებული სიცხადით და დამაჯერებლობით აგვიწერა ბრძოლების მრისხანე ეპიზოდები.

შემდეგ პერიოდს ეკუთვნის ლექსების ციკლი „კიევის ეტიუდები“ (1944), რომლებიც პოეტმა მიუძღვნა კიევის განთავისუფლებას გერმანელი დამპყრობლებისაგან და ქალაქის აღდგენის პირველ ნაბიჯებს. ამ ციკლის ლექსების შინაარსს შეადგენს პოეტის ფიქრები აწმყოსა და მომავალზე. ამ ციკლის ლექსებისათვის დამახასიათებელია სურათების სიცხადე და დამაჯერებლობა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე მიკოლა ბაჟანის ლექსების კრებული „ინგლისში მიღებული შთაბეჭდილებანი“ (1948). ამ ლექსებში ძლიერად ჟღერს საბჭოთა ადამიანის ეროვნული სიამაყის გრძნობა, ხმა ადამიანისა, რომელიც გრძნობს, რომ მას მორალური უფლება აქვს მსჯავრი დასდოს კაპიტალისტურ წყობილებას.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, ძვირფასია არა მარტო ბაჟანის ორიგინალური შემოქმედება. ჩვენთვის დაუვიწყარია ბაჟანის მიერ ბრწყინვალედ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ და „დავითიანი“, აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, სიმონ ჩიქოვანისა და სხვა გამოჩენილი ქართველი მწერლების ნაწარმოებთა შთაგონებული თარგმანები.

მიკოლა ბაჟანი, პოეტი-პატრიოტი, ხალხთა მეგობრობით შთაგონებული მგოსანი, მხოლოდ 50 წლისაა! სულით და გულით ვუსურვოთ მას კიდევ მრავალ წელს ნაყოფიერი პოეტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ᲘᲐᲡᲐᲛᲐᲜᲘ.

კავშირგაბმულობის მუშაკთა თანამეგობრობა

ქართველ და სომეხ ხალხებს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ. ამ მეგობრობის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს თბილისისა და ერევნის კავშირგაბმულობის მუშაკთა ურთიერთობა.

თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის მუშაკებმა გამოცდილების გაზიარების მიზნით გადაწყვიტეს მიმდინარე წლის აგვისტოში სწვეოდნენ ერევნელ თანამეგობრებს. სომეხმა ტელეგრაფისტებმა მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყეს, უამბეს თავიანთ მიღწევებზე. გამოითქვა მრავალი საყურადღებო აზრი, რაც მიმართულია მუშაობის უკეთ მოწყობისაკენ. ერევნელებმა სტუმრებს დაათვალიერებინეს დედაქალაქისა და ახლო რაიონების ისტორიული ადგილები. ქართველმა ტელეგრაფისტებმა მადლობა გადაუხადეს მასპინძლებს და მოიწვიეს ისინი მშობლიურ ქალაქში.

ამას წინათ ერევნელი ტელეგრაფისტები ჩამოვიდნენ თბილისში. საქმიანი საუბრის დროს გამოირკვა, რომ პირველი შეხვედრის შემდეგ ამ ორი კოლექტივის მუშაობაში ბევრი რამ გაუმჯობესებულა. სომეხი ამხანაგები გაეცნენ ისტორიულ-რევოლუციურ ადგილებს, ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, იყვნენ სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ფუნიკულორის პლატოზე.

მეგობრებმა ერთმანეთს აღუთქვეს, რომ უფრო განამტკიცებენ და გააღრმავებენ ორი მოძმე ხალხის ტელეგრაფისტთა საქმიან ურთიერთობას, მეგობრობას.

მ. ჯანტურაია,

თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის ფოტოინჟინერი.

ᲐᲚᲛᲝᲕᲤᲮᲕᲠᲐᲗ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲐᲜᲘ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲥᲡᲔᲚᲨᲘ, ᲙᲣᲚᲭᲣᲠᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲕᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲝᲗ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲡ

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა შეუნელებლად ზრუნავენ საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი აღმავლობისათვის. ამ ამოცანის განხორციელებაში დიდი როლი აკისრიათ საბჭოთა ვაჭრობის მუშაკებს, რომლებიც მოწოდებული არიან სავსებით დააკმაყოფილონ მომხმარებლის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებანი, კულტურულად მოემსახურონ მას.

აჭარის ზოგიერთი სავაჭრო ორგანიზაცია, ბევრი მაღაზია და სასადილო კეთილსინდისიერად ემსახურება ამ საქმეს და თვალსაჩინო წარმატებებსაც მიაღწია.

მიუხედავად ამისა, ქ. ბათუმის სავაჭრო ქსელში ყველაფერი რიგზე როდია. საკმარისია ითქვას, რომ ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციებმა საქონელბრუნვის რვა თვის დავალება 98,4 პროცენტით შეასრულეს და სახელმწიფოს მილიონობით მანეთი დააკლეს. გამოირჩევა მხოლოდ ორი სავაჭრო ორგანიზაცია — კურორტვაჭრობის ბათუმის განყოფილება და მეთევზეთა კოოპერატივი, რომლებსაც საქონელბრუნვის 8 თვის გეგმები გადაჭარბებით აქვთ შესრულებული.

მთელ რიგ მაღაზიებში, სასადილოებსა და სასაუზმეებში გამეფებულია ანტისანიტარია. მაგალითად, აჭარვაჭრობის № 49 მაღაზიაში ცუდად იბრძვიან სისუფთავისათვის. ვიტრინები, სადაც საკვები პროდუქტებია დალაგებული, ბუზები ირევიან, გამყიდველებს უსუფთაო ხალათები აცვიათ. ანალოგიური მდგომარეობაა პირველი კლასის რესტორან „კოლხეთში“, დიეტურ სასადილოში და სხვ. „კოლხეთის“ სამზარეულო, სადაც ხაჭაპურები მზადდება, სავსეა ბუზებით. სასადილოს დირექცია კი ამას ურიგდება.

რესტორანი „აჭარა“ მომხმარებლებს კულტურულ მომსახურებას ვერ უწევს დამხმარე ნაგებობათა და მოწყობილობათა უქონლობის გამო. აქ მაცივარი უვარგისია, ხოლო სამზარეულოში, სადაც კერძები მზადდება, წვიმა ჩამოდის.

ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის მომხმარებლების ზომა-წონაში მოტყუების ფაქტები. № 51 სასაუზმეში, სადაც მეხუფეტედ ა. შუმიანი მუშაობს, მიმტანმა ბ. პეტროსიანმა ნახევარ ლიტრ ლუდზე მომხმარებელს 100 გრამი დააკლო. სასადილოების ტრესტის № 32 სასაუზმის მებუფეტემ ვ. კიკბიძემ 500 გრამის ნაცვლად მომხმარებელს 380 გრამი ლუდი მიაწოდა. 100 გრამი ლუდი დააკლო მომხმარებელს აგრეთვე აჭარვაჭრობის № 67 ლუდის სავაჭროს გამყიდველმა მ. არონოვამ.

აღმოფხვრილი არ არის საქონლის ფასების უხეში დამახინჯების შემთხვევებიც. აჭარვაჭრობის № 91 მაღაზიის გამყიდველი ს. გუნთიაშვილი 1 მან. 60 კაპიკად ღირებულ კბილის ჯაგრისს 3 მანეთად ყიდდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მომხმარებლების სამართლიან შენიშვნას ფასების დამახინჯების შესახებ მან ყური არ ათხოვა.

ამავე მაღაზიის სექციის გამგემ ქ. კვაჭაძემ სექციის შემცვლელ გამგეს ნ. დათუნაშვილს 70 ცალი კბილის ჯაგრისი სამ-სამ მანეთად გადაჰბარა. საგულისხმოა, რომ ეს გადაბარება აჭარვაჭრობის რევიზორ-ბუხჰალტერის ა. დოლიძის თანდასწრებით მოხდა.

არის საქონლის გადამალვისა და შემდეგ ნაცნობ-მეგობრებისათვის მიყიდვის ფაქტებიც. აჭარვაჭრობის № 62 მაღაზიაში (გამგე ვ. ბიბილეიშვილი) გადამალული აღმოჩნდა 4 ცალი ელექტრომრიცხველი, აჭარვაჭრობის № 92 მაღაზიაში (გამგე კ. რაბინოვიჩი) — 6 მეტრი საკოსტიუმე ქსოვილი „ბოსტონი“. საკოსტიუმე და საპალტოე ძვირფასი ქსოვილების გადამალვის ფაქტებია აჭარვაჭრობის № 6 მოდების ატელიეში.

საჭიროა სავაჭრო ქსელიდან გავაძევოთ არაკეთილსინდისიერი მუშაკები, მთელი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ვაჭრობის მუშაკთა შერჩევისა და აღზრდის, საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი გაფართოების, მომხმარებელთა უკეთესი მომსახურების საქმეს.

რედის მონაწილეები: დ. პაიჭაძე, ბ. ლორთქიფანიძე, ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატები: ბ. კინწურაშვილი, ვ. მელიაკოვა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესია

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე საერთო დისკუსიაში 4 ოქტომბერს გამოვიდნენ ვენესუელის, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები.

ინგლისის წარმომადგენელის სიტყვაში ყურადღებას იპყრობს ცილისმწამებლური გამოხდომები საბჭთა კავშირის საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ და იმის ცდა, რომ დამახინჯებულად განმარტოს საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ა. ი. ვიშინსკის 30 სექტემბრის სიტყვა.

თავისი სიტყვის დასაწყისში ლოიდი აღიარა ის ფაქტი, რომ უკანასკნელ წელს მნიშვნელოვნად შენელდა დაძაბულობა საერთაშორისო ურთიერთობაში და რომ ამას, კერძოდ, ხელი შეუწყეს ბერლინისა და ჟენევის თათბირებმა.

ამავე დროს ლოიდი ცდილობდა საბჭოთა კავშირისათვის გადაებრალებინა ის, რომ აქამდე გადაუკრეფია ისეთი პრობლემები, როგორიც არის გერმანიის, ავსტრიისა და კორეის პრობლემები.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი ლოიდმა განიარაღების საკითხებს მიუძღვნა. განაცხადა რა, რომ ინგლისი მხარს უჭერს ამერიკის წინადადებას — შეიქმნას საერთაშორისო საგენტო ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენებისათვის, ლოიდი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ამ წინადადების განხორციელება „ვერ გადაწყვეტს განიარაღების პრობლემას“. საბჭოთა დელეგაციის მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტი — დაიდოს კონვენცია განიარაღების შესახებ — ინგლისის წარმომადგენელმა შეაფასა როგორც საბჭოთა კავშირის ნაბიჯი „ინგლის-საფრანგეთის გეგმისაკენ“. მაგრამ მან აქვე განაცხადა, რომ საბჭოთა წინადადების ზოგიერთი მხარე „ბუნდოვანია“ და „მოითხოვს გულმოდგინე შესწავლას“.

ამასთან ერთად ლოიდი ცდილობდა დაემახინჯებინა საბჭოთა კავშირის პოზიცია უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებში და მიმართა ცილისმწამებლურ მტკიცებებს, რომლებიც დიდი ხანია მხილებულია. კერძოდ, იგი ცდილობდა საეჭვად გაეხადა გულწრფელობა საბჭოთა კავშირის განცხადებებისა, რომ იგი ესწრაფვის სხვა ქვეყნებთან მშვიდობიან თანაარსებობას. ამასთან ლოიდი საქმის ვითარებას ისე სახავდა, თითქოს ყველგან ყველა რევოლუციური, სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის „სულისჩამდგმელი“ და გამომწვევი არიან მოსკოვი და პეკინი. მაგრამ თავისი სიტყვის მეორე ნაწილში ლოიდი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ საქმე მოსკოვის და პეკინის „აგენტები“ როდი და რომ არის სხვა მიზეზები, რომლებიც იწვევენ ასეთი სახის მოძრაობებს. „შიშმილის, სიღატაკისა და დაავადებათა საშინელი სანახაობა, — თქვა მან, — ჯერ კიდევ ახასიათებს მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილს და აშფოთებს კაცობრიობის სინდისს“.

ლოიდი ყოველნაირად ამართლებდა სხვადასხვა აგრესიული სამხედრო კავშირისა და ბლოკის შექმნასა და არსებობას.

ინგლისის დელეგატის სიტყვისაგან განსხვავებით საფრანგეთის დელეგატის სიტყვას უფრო ზომიერი და თავშეკავებული ხასიათი ჰქონდა.

როგორც საფრანგეთის წარმომადგენელმა დე ბომონმა განაცხადა, მისი დელეგაცია კმაყოფილებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ გენერალური ასამბლეა მრავალი წლის განმავლობაში პირველად იკრიბება ისეთ პირობებში, როცა დედამიწაზე ომი არ არის. საფრანგეთის დელეგაცია, თქვა მან, არ ეთანხმება იმათ აზრს, ვისაც მიაჩნია, რომ მთელი რიგი საკითხების გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოების გარეშე გადაწყვეტა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის გვერდის ავლაა. ინდოჩინეთში დროებითი ზავის დადება, განაცხადა დე ბომონმა, განხორციელდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებისა და მიზნების შესაბამისად. მან იმედი გამოთქვა, რომ კორეისთვისაც გამოინახება გადაწყვეტილება, რომელიც ხელს შეუწყობს ამ ქვეყნის გაერთიანებას. ამართლება და რა საფრანგეთის მონაწილეობას ჩრდილეთ ატლანტიკის კავშირში, საფრანგეთის წარმომადგენელი ამტკიცებდა, ამ კავშირს აგრესიული ხასიათი არა აქვსო.

საფრანგეთის წარმომადგენელმა თავის სიტყვაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო განიარაღების საკითხს. მან განაცხადა, რომ საფრანგეთს განიარაღება მიაჩნია პირველ საპიროებად და ერთ-ერთ მთავარ საშუალებად ურთიერთ უნდობლობისა და შიშისგან „განკურნების“ საქმეში, რაც არსებობს „ორ სამყაროს“ შორის ურთიერთობაში. მან კმაყოფილება გამოთქვა განიარაღების შესახებ წინადადებათა გამო, რომლებიც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა შეიტანა, და განაცხადა, რომ ისინი „სრული ყურადღების“ ღირსია იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს „პირველად“ დგამს ნაბიჯს, რომლის მიზანია „საწინააღმდეგო შეხედულებათა შერიგება“. საფრანგეთის წარმომადგენელმა აგრეთვე მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებას ატომის ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შექმნის შესახებ.

საფრანგეთის წარმომადგენელმა დადებითი აზრი გამოთქვა სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევის დარგში მუშაობის შესახებ და კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ამ მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ისეთი ქვეყნები, როგორიც არიან სსრ კავშირი, იტალია, იაპონია და სხვ.

ვენესუელის წარმომადგენელმა თავისი სიტყვის ძირითადი ნაწილი მიუძღვნა სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიური განვითარების პრობლემებს და, კერძოდ, აღნიშნა, რომ საჭიროა „მხარი დაეჭიროს უცხოეთის ჯანსაღ კაპიტალდაბანდებათა ნაკადს“ ამ ქვეყნებში.

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის 4 ოქტომბრის დღის სხდომაზე საერთო დისკუსიაში გამოვიდნენ პოლონეთის, არგენტინისა და ბელორუსიის სსრ წარმომადგენლები.

პოლონეთის წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. სკშეშევსკიმ აღნიშნა, რომ გენერალური ასამბლეის სესია იწყება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ვითარებაში, მშვიდობისათვის ბრძოლის გაძლიერების ვითარებაში. მშვიდობისათვის ბრძოლაში მოპოვებული წარმატებანი, რომლის ეტაპები იყო დაზავება კორეაში, ბერლინისა და ჟენევის თათბირები, შესაძლებელი გახდა სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, მათ შორის აგრეთვე პოლონეთის თანმიმდევრული მშვიდობიანი პოლიტიკისა და ინიციატივის მეოხებით. ცხოვრებამ დაადასტურა, რომ მოლაპარაკებისა და მშვიდობიან გადაწყვეტილებათა გამონახვის მეთოდი დადებითს შედეგებს იძლევა.

პოლონეთის წარმომადგენელი თავის სიტყვაში დაწვრილებით შეეხო გერმანიის პრობლემას და, კერძოდ, მთელი რიგი ქვეყნების იმ ახალი ცდების საკითხს, რომ აღორძინონ გერმანიის მილიტარიზმი, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობისათვის. ევროპაში უშიშროების უზრუნველყოფის ძირითადი პირობაა, განაცხადა პოლონეთის წარმომადგენელმა, გერმანიის პრობლემის მოწესრიგება. გერმანია დემოკრატიულ და მშვიდობიან საწყისებზე უნდა გაერთიანდეს. გერმანიის რემილიტარიზაცია, რა ფორმითაც უნდა იყოს იგი—ბრიუსელის, ატლანტიკისა თუ ლონდონის ფორმით, — გამოიწვევს ახალი ომის საფრთხეს.

შეეხო რა შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის შენარჩუნების საკითხს, პოლონეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა აღკვეთოს უკანონო მოქმედება ამერიკელი ხელისუფლებისა და გომინდანელთა ბანდებისა, რომლებიც არღვევენ ღია ზღვაში ნაოსნობის თავისუფლებას. მან აგრეთვე განაცხადა, რომ კუნძულ ტაივანზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სუვერენიტეტის აღდგენა აღმოფხვრიდა საფრთხეს, რომელიც ემუქრება მშვიდობას შორეულ აღმოსავლეთში.

პოლონეთის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის წინადადებებს, რომლებიც ითვალისწინებენ კონვენციის დადებას შეიარაღების შემცირებისა და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის შესახებ. საბჭოთა წინადადებანი, თქვა პოლონეთის წარმომადგენელმა, ითვალისწინებენ, თუ როგორ მუშაობს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განიარაღებისა და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის პრობლემაზე. ეს წინადადებანი წარმოადგენენ სსრ კავშირის ღონისძიებათა განგრძობას ამ დარგში და სახავენ ნამდვილ გამოსავალს იმ ჩიხიდან, რომელშიც განიარაღების კომისია აღმოჩნდა.

არგენტინის წარმომადგენელმა აღნიშნა საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესება და იმედი გამოთქვა, რომ დიდი სახელმწიფოები შეთანხმდებიან შეიარაღების შემცირებასა და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ.

ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაურმა კ. კისელიოვმა აღნიშნა, რომ მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის შეთანხმებულ პოლიტიკაზე უარისთქმა, აგრესიული სახელმწიფოების ბლოკის შექმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შიგნით, ისეთი სერიოზული საკითხების გადაწყვეტის უუნარობა, როგორიც არის განიარაღება, ატომური და ადამიანთა მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვა, არყევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როგორც უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის ავტორიტეტს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სერიოზული ნაკლი ის ფაქტი, რომ ხუთ წელზე მეტია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დაშვებული არ არიან 600-მილიონიანი ჩინელი ხალხის კანონიერი წარმომადგენლები, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები. ის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არ არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, განაცხადა კისელიოვმა, არა მარტო არყევს ამ ორგანიზაციის ავტორიტეტს, არამედ აგრეთვე ხელს უშლის მას წარმატებით გადაჭრას საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები, განსაკუთრებით ის საკითხები, რომლებიც აზიასა და შორეულ აღმოსავლეთს ეხება.

ბელორუსიის სსრ წარმომადგენელმა აღნიშნა ის გარემოება, რომ მსოფლიოში არიან აგრესიული ძალები, რომლებიც ცდილობენ არ დაუშვან საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შემდგომი შენელება. იგივე აგრესიული ძალები ცდილობენ ჩაშალონ ატომური და წყალბადის იარაღის — ადამიანთა მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვა და აწარმოებენ გამალებულ შეიარაღებას, რითაც ხელს უშლიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

შეეხო რა ინგლისის წარმომადგენლის ლოიდის მიერ დილის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვას, ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაურმა, კერძოდ, განაცხადა: „ბ-ნი ლოიდი ცოტას როდი ეცადა არასწორად განემარტა საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ვიშინსკის სიტყვა. ბ-ნ ლოიდის სიტყვის მიზანი საერთაშორისო ურთიერთობის შემდგომი შენელება როდი იყო. იგი ისახავს პირდაპირ საწინააღმდეგო მიზნებს. საკითხავია, რა მიზნით დასჭირდა ბ-ნ ლოიდს კვლავ მიემართა დიდი ხნის წინათ მხილებული ზღვარისათვის „რკინის ფარდის“ შეკეთებ, დაამახინჯებინა საბჭოთა კავშირის პოზიცია მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებში, ცილი დაეწამებინა აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის, რომლებსაც თითქოს მოსკოვმა და პეკინმა მოახვიეს თავს ნეიტრალიტეტის პოლიტიკა და სხვ. ბ-ნი ლოიდი გამოვიდა არა ინგლისელი ხალხის ინტერესთა დასაცავად, არამედ იმ წრეების ინტერესთა დასაცავად, რომლებიც დაინტერესებული არ არიან, რომ მოაწესრიგონ და გადაჭრან უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო საკითხები და ესწრაფვიან სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას. ბ-ნ ლოიდის სიტყვებიდან ჩანს, რომ იგი ფაქტიურად ილაშქრებს გერმანიის ერთიან, დემოკრატიულ, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოდ გაერთიანების წინააღმდეგ.

ჩვენი მოვალეობაა, თქვა დასასრულ ბელორუსიის სსრ წარმომადგენელმა, ხელი შეეწყოთ სადავო საერთაშორისო საკითხების მოწესრიგებას, არ დავუშვათ, რომ საერთაშორისო ატმოსფეროს დასახულმა გაუმჯობესებამ ადგილი დაუთმოს დაძაბულობის ახალ გაძლიერებას. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დაუბრუნდეს იმ გზას, რომელიც აღნიშნულია წესდებაში, — ხელი შეეწყოს ყველა საერთაშორისო კონფლიქტის მშვიდობიან გადაჭრას ყველა ხალხის სუვერენულ უფლებათა პატივისცემის საფუძველზე. მსოფლიოს ხალხები გაერთიანებულ ერების ორგანიზაციისაგან მოელიან ქმედთ და კონსტრუქციულ ღონისძიებებს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განსამტკიცებლად.

ასობით მილიონ ადამიანს იმედი აქვს რომ შემდგომ შენელდება საერთაშორისო დაძაბულობა. ჩვენ უნდა გავამართლოთ ხალხთა ეს კეთილშობილური იმედები.

ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ჰელსინკი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ გაიმართა ფინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც არჩეულ იქნა პარტიის X ყრილობაზე. პლენუმმა ფინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივნად აირჩია ვილე პესი და პარტიის თავმჯდომარედ — იმო აალტონენი. პარტიის ვიცე-თავმჯდომარედ არჩეულია ირიე მურტო.

საფრანგეთის კომპარტიის განცხადება დასავლეთ გერმანიის შეიარაღებაზე ლონდონის შეთანხმებათა შესახებ

პარიზი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის განცხადება დასავლეთ გერმანიის შეიარაღებაზე გადაწყვეტილებათა შესახებ, რომლებიც ცხრა ქვეყნის ლონდონის თათბირმა მიიღო. განცხადებაში ნათქვამია:

ლონდონის თათბირი დამთავრდა საშიშ გადაწყვეტილებათა მიღებით, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან საფრანგეთსა და მშვიდობას. თათბირის მონაწილე ცხრა ქვეყანა შეთანხმდა დასავლეთ გერმანიის შეიარაღებისა და ატლანტიკის კავშირში მისი მიღების შესახებ. მათ მილიტარისტულ გერმანიასთან კავშირის ხელშეკრულებად გადააქციეს ბრიუსელის ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილ იქნა 1948 წელს და რომელიც ოფიციალურად მომართულია გერმანიის მილიტარიზმის საფრთხის წინააღმდეგ...

ლონდონის გადაწყვეტილებათა მიზანია ევროპის ცენტრში აღორძინდეს ომის საშიში კერა. ლონდონის გადაწყვეტილებათა ძალაში შესვლა ფაქტიურად გააქარწყლებს „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ ხელშეკრულების გაუქმების მნიშვნელობას. ეს ხელშეკრულება ფრანგმა ხალხმა სწორედ იმიტომ უარყო, რომ იგი შეიარაღებდა გერმანელ რევანშისტებს — საფრანგეთის და ევროპის მშვიდობის მოსისხლე მტრებს.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ლონდონის გადაწყვეტილებანი უწინარეს ყოვლისა შეესაბამება გერმანელი მილიტარისტებისა და ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეების ინტერესებს, ეს გადაწყვეტილებანი აშკარად არღვევენ პოტსდამის შეთანხმებებს.

ხელი მოაწერა რა ლონდონის შეთანხმებებს, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, მენდეს-ფრანსმა კაპიტულაცია მოახდინა შეერთებული შტატების ზეგავლენისა და ადენაუერის მოთხოვნების წინაშე. „ანტიკომუნიზმს“ კვლავ მოჰყვა ეროვნული დამორჩილებისა და საფრანგეთის ინტერესთა დაცვაზე ხელისაღების პოლიტიკა.

სამართლიანად ეშინიათ რა საზოგადოებრიობის წინააღმდეგობისა, რასაც მოჰყვა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ უარყოფა, ლონდონის შეთანხმებათა ხელისმომწერი დიპლომატები აპირებენ დაიჩქარონ, რომ იგი საფრანგეთის პარლამენტმა მიიღოს. ეროვნულ კრებას მოსთხოვეს 7 ოქტომბერს მიიწოლოს ლონდონის კაპიტულაცია. ბონელი რევანშისტების შეიარაღების მომხრეთა გეგმა ის არის, რომ მიმდინარე წლის დამლევამდე მოახდეს საბოლოოდ შემუშავებული ტექტიკის რატიფიკაცია.

მაგრამ არის იმის შესაძლებლობა, რომ ჩაიფუშოს ლონდონში მიღებული გადაწყვეტილებანი. მოქმედების ერთიანობაზე დაყრდნობით ხალხს შეუძლია მიაღწიოს და კიდევაც უნდა მიაღწიოს მათს უარყოფას, ისევე როგორც მან მოიპოვა გამარჯვება, როცა მიაღწია ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტას და „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ჩაფუშვას. საფრანგეთს შეუძლია წარმატებით შეუშალოს ხელი გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას, რა სახითაც უნდა ხდებოდეს იგი.

სამშობლოს უშიშროება და მომავალი გვიკარნახებს, რომ საჭიროა გაიმარჯვოს მოლაპარაკების შედეგად მიღებულმა მშვიდობიანმა გადაწყვეტილებებმა:

—გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგება საფრანგეთს, საბჭოთა კავშირს, დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებს შორის შეთანხმების დადების გზით.

— ევროპის ყველა სახელმწიფოს კოლექტიური უშიშროება წყობილებისა და სოციალური რეჟიმის განურჩევლად.

— საყოველთაო და კონტროლიანი განიარაღება, როგორც ეს კვლავ მოითხოვა საბჭოთა კავშირმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

წინადადებებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირმა შეიტანა, და კერძოდ მისმა თანხმობამ, რომ მოლაპარაკებას საფუძვლად დაედოს საფრანგეთ-ბრიტანეთის გეგმა, ახალი იმედები აღუძრა ხალხებს. ლონდონის გადაწყვეტილებათა საწინააღმდეგოდ ეს წინადადებანი გზას უხსნიან საშიშროების შემსუბუქებას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებასა და მშვიდობას.

საფრთხის აღორძინების წინაშე საფრანგეთის კომუნისტური პარტია კვლავ აცხადებს, რომ იგი მზად არის აწარმოოს ბრძოლა როგორც საფრანგეთში, ისე პარლამენტშიც მთელ პოლიტიკურ ძალებთან ერთად, რომელნიც იბრძვიან გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის წინააღმდეგ, და ამ ძალების წარმომადგენლებთან ერთად, განურჩევლად პროვინციისა და პოლიტიკური კუთვნილებისა.

ყველგან — ქარხნებში, ქალაქების უბნებში, სოფლებში კომუნისტები იბრძოლებენ იმისათვის, რომ გაფართოვდეს მუშათა კლასის და კერძოდ მშრომელების — კომუნისტებისა და სოციალისტების ერთობლივი მოქმედება, რათა ხელი შეუშალონ რევანშისტული ვერმახტის აღორძინებას, რა სახითაც უნდა ხდებოდეს იგი.

დამთავრდა ფინეთის კომპარტიის X ყრილობა

ჰელსინკი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ მუშაობა დაამთავრა ფინეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობამ. გუშინდელ სხდომაზე ყრილობამ მოისმინა პარტიის გენერალური მდივნის ვილე პესის საბოლოო სიტყვა. პესემ აღნიშნა, რომ კამათმა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო ცხადყო სრული ერთსულოვნება პარტიის გეზის საკითხში.

ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა პარტიის გეზი და მიიღო რეზოლუცია მშვიდობისათვის, მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებისა და დემოკრატიული უფლებებისათვის ბრძოლის ამოცანების შესახებ, აგრეთვე რეზოლუცია საორგანიზაციო საკითხებისა და მასებში პარტიის მუშაობის შესახებ.

შემდეგ კომპარტიის წესდების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მატი იანხუნენმა მოხსენება გააკეთა პარტიის წესდების ცვლილებათა შესახებ. მან განაცხადა, რომ შეტანილი ცვლილებანი დაკავშირებულია პარტიის ახალ ამოცანებთან. რეკომენდებულ ცვლილებებში ხაზგასმით აღნიშნულია მარქსისტულ-ლენინური თეორიის, როგორც პარტიის ძალის, მნიშვნელობა; ნათქვამია მუშათა კლასის ერთიანობის განმტკიცების შესახებ; ხაზგასმით აღნიშნულია კოლექტიური ხელმძღვანელობის მნიშვნელობა.

ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა პარტიის წესდებაში შეტანილი ცვლილებანი.

ყრილობაზე მიღებულ იქნა მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, რასაც დელეგატები და სტუმრები მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ფარული კენჭისყრით აირჩიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის განცხადება

ვენა, 6 ოქტომბერი. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: მილიონობით მშრომელი გამოვიდა ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ წინააღმდეგ და სამართლიანად თვლის მას გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების ცდად. „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ მარცხმა, რაც მოხდა ვეტენსში სამარი მოქმედების შეწყვეტისთანავე, გააძლიერა მათი იმედი, რომ ხალხები გაჰკვეთენ მოლაპარაკებისა და მშვიდობის გზას. მაგრამ ევროპის ქვეყნების ყველა მშრომელს კარგად უნდა ჰსმოდეს..., რომ მომავალშიც საჭიროა დიდი სიფხიზლე. უგულებელყოფენ რა ხალხთა ნებას, ახალი ვერმახტის მომხრეებმა წამოაყენეს ახალი გეგმები, რათა განახორციელონ თავიანთი მიზნები.

დასავლეთის ცხრა სახელმწიფოს თათბირმა, რომელიც ლონდონში გაიმართა, ცხადყო, რომ მისი მონაწილენი დაადგნენ იმ გზის პირდაპირ საწინააღმდეგო გზას, რომლითაც საერთაშორისო სურთ მშრომელებსა და ხალხებს. დასავლეთის ცხრა ქვეყნის მმართველებმა უარი განაცხადეს სხვა შესაძლებლობებზე და მიიღეს გადაწყვეტილება აღადგინონ მილიტარიზმი დასავლეთ გერმანიაში. ისინი შეთანხმდნენ იმაზე, რომ დასავლეთ გერმანიის მთავრობას უფლება მისცენ შექმნას არმია და სამხედრო ავიაცია.

ამრიგად, გაკაფულია გზა ამ ქვეყნის შეუზღუდველი რემილიტარიზაციისათვის, რაღაც გერმანელი მილიტარისტები დაარღვევენ დწესებულ შეზღუდვებს, როგორც ამას უკვე აკეთებდნენ ისინი წარსულში.

მთელი მსოფლიოს მშრომელები და უწინარეს ყოვლისა ევროპის მშრომელები გმობენ ამ გადაწყვეტილებას, რომელსაც უაღრესად სერიოზული შედეგები მოჰყვება მშვიდობის საქმისათვის. როგორიც უნდა იყოს იმ ქვეყნის საზოგადოებრივი წყობილება, სადაც ცხოვრობენ, ისინი არ ივიწყებენ, რომ გერმანიის მილიტარიზმი, რომელიც პირველი მსოფლიო კონფლიქტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო, დამნაშავე იყო მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებაში. მათ არ დავიწყებიათ მსხვერპლი, მწუხარება, ნგრევა და გაჭირვება, რომელთათვისაც მძიმე პასუხისმგებლობა ეკისრებათ გერმანელ მილიტარისტებს.

გერმანელ მშრომელებს აგრეთვე შეგნებული აქვთ, რომ ისინი მსხვერპლი გახდნენ თავიანთი ქვეყნის მილიტარისტებისა, რომლებმაც უბედურებასა და ტანჯვაში ჩაგდეს ისინი.

მოუხედავად იმისა, ინგლისელები არიან ისინი თუ საბჭოთა ადამიანები, ფრანგები თუ გერმანელები, პოლონელები თუ იტალიელები, ჩეხები თუ ბელგიელები, ევროპის მშრომელებს არ უნდა დავიწყდეთ ისტორიის ტრაგიკული გაკვეთილები. გერმანის მილიტარიზმი საფრთხეს უქმნის მათ და მშვიდობას. მათ არ შეუძლიათ დაუშვან, რომ ევროპის უშიშროობის პრობლემის გადაწყვეტა ემყარებოდეს დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღებას, სადაც მმართველობის ყველა ბერკეტი რევანშისტებისა და ნაცისტების ხელშია.

ამიერიდან დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ძლიერდება სხვადასხვა პროფკავშირული კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების მშრომელთა სულ უფრო ფართო მასების და უწინარეს ყოვლისა მშრომელი კომუნისტების, სოციალისტებისა და უპარტიოების მოძრაობა საფრანგეთში, იტალიაში, სკანდინავიაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, მშრომელი ლეიბორისტების, კომუნისტებისა და უპარტიოების მოძრაობა დიდ ბრიტანეთში.

მშრომელი სოციალ-დემოკრატები, კომუნისტები და უპარტიოები დასავლეთ გერმანიაში დღითიდღე აძლიერებენ ამ მოძრაობას. ამას სხვა მაგალითებთან ერთად ადასტურებს რეზოლუცია, რომელიც ამა წლის 26 სექტემბერს მიიღეს დიუსელდორფში 600 ათასი ახალგაზრდა მშრომელის წარმომადგენლებმა და რომელიც მიმართულია რევანშისტთა ხელახლა შეიარაღების წინააღმდეგ. მილიონობით გაერთიანებული მშრომელი და მათი პროფკავშირული ორგანიზაციები გადამწყვეტ ძალას წარმოადგენენ იმისათვის, რომ გზა გადაუღობონ გერმანიის მილიტარიზმს.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია აცხადებს, რომ ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა, რომ ევროპის მშრომელები და მათი პროფკავშირული ორგანიზაციები უფრო მჭიდროდ დაიარაზმონ ამ მოქმედების განსახორციელებლად.

დარწმუნებული, რომ იგი გამოხატავს ევროპის ყველა ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა აზრს, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას მიაჩნია, რომ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება დასავლეთ გერმანიაში იმ გზით, რომ იგი ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტში, ბრიუსელის ხელშეკრულებაში შეიყვანონ პირდაპირი გზით ან რაიმე სხვა ფორმით, მნიშვნელოვნად აფიცებს ომის საფრთხეს.

ბონის მილიტარისტებმა, რომლებიც ჰიტლერის გზას აღგანან, არაერთგზის ცხადყვეს თავიანთი იმპერიალისტური და პანგერმანისტული მისწრაფებანი. მათთვის იარაღის მიცემა ნიშნავს მივცეთ მათ საშუალება განახორციელონ თავიანთი აგრესიული გეგმები, ეს ნიშნავს ხელი შეეშალოთ გერმანიის გაერთიანების პრობლემის მშვიდობიან გადაწყვეტას, ეს ნიშნავს საერთაშორისო დაძაბულობისა და გამალებული შეიარაღების გაძლიერებას, რაც კიდევ უფრო დაეკვეთებს მშრომელთა ცხოვრების დონეს. ეს მოასწავებს, რომ ევროპას და მთელ მსოფლიოს თავს მოვაწყვიოთ წყალბადის ბომბის საშინელი საფრთხე.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ იცის, რომ არსებობს ევროპის კოლექტიური უშიშროების პრობლემის ნამდვილი გადაწყვეტა.

ევროპის პროფკავშირულმა კონფერენციამ, რომელიც 1954 წლის ივლისში გაიმართა ბერლინში, მხარი დაუჭირა იმას, რომ დაიდოს სრულიად ევროპის ხელშეკრულება კოლექტიური უშიშროების შესახებ, რომელიც გაერთიანებს ევროპის ყველა ქვეყანას მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა, უდისკრიმინაციოდ, რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მიუცემლად, თანთეული ერის დამოუკიდებლობის პატივისცემით. ამ საერთო ხელშეკრულებაში უშუალოდ უნდა მიეღოთ მონაწილეობა აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიას.

ევროპის კოლექტიური უშიშროების მოწყობა ამ საფუძველზე, რომელიც აღმოფხვრის გერმანიის მილიტარიზაციის ყოველგვარ საშიშროებას, შეამსუბუქებდა საჭირო მოლაპარაკებას ოთხ დიდ სახელმწიფოს — შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის იმ მიზნით, რომ მშვიდობიანად გადაიჭრას გერმანიის პრობლემა ერთიანი დემოკრატიული გერმანიის შექმნის გზით, რაც გამორიცხავს მილიტარიზმის აღორძინების საფრთხეს.

ევროპის ყველა მშრომელი დაინტერესებულია, რომ მოლაპარაკების პოლიტიკამ გაიმარჯვოს ძალის პოლიტიკაზე და რომ ევროპის ნამდვილ კოლექტიური უშიშროების ორგანიზაციამ გაიმარჯვოს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციაზე.

ამ მიზნით პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მოუწოდებს მშრომელებს განამტკიცონ ერთიანობა საწარმოებში, აგრეთვე ეროვნული და ინტერნაციონალური მასშტაბით, გაერთიანდნენ ყველა ქვეყნის მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან და მზარი დაუჭირონ გერმანელ მშრომელთა მოქმედებას მათი ქვეყნების მილიტარიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ერთიანი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის ბრძოლაში.

ამით ისინი ხელს შეუწყობენ იმას, რომ თავიდან აცილებულ იქნას მსოფლიო კონფლიქტის წარმოშობის მეტად სერიოზული საფრთხე. და გადამწყვეტ წვლილს შეიტანენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში. სოციალური პროგრესისა და მშვიდობის საქმეში.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია.

ვენა, 1954 წლის 5 ოქტომბერი.

ვარშავის აღდგენა

ვარშავა, 2 ოქტომბერი. (საკდესი). პოლონეთის დედაქალაქის მშენებლებმა ახალი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს. დამთავრდა ძველი ვარშავის ტრაქტის მეორე ნაწილის აღდგენა. აღდგენილ რაიონში საექსპლოატაციოდ გადაეცა 160-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი, გაიხსნა 62 მაღაზია და საყოფაცხოვრებო მომსახურების ზთელი რიგი პუნქტები. საწარმოო გამარჯვების გამო ვარშავაში გაიმართა ძველი ვარშავის ტრაქტის მშენებელთა სხდომა. ბევრი მშენებელი დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნებით „შრომის დამსახურებული მოწინავე“ და „შრომის მოწინავე“.

შ. ნ. დადიანის დაბადების 80 წლისა და ლიტერატურული მოღვაწეობის 60 წლისთავის აღსანიშნავად

ნამდვილად ჯერ [illegible] 80 წელი და ლიტერატურული [illegible] შეეხო [illegible] ცნობილ ქართველ მწერალსა